
ვალიკო კაკაურიძე
მიმინო
ლიტერატურული ალბომი

ვალიკო კაკაურიძე

ლექსად ნათქვამი ამბები „მიმინო“

წიგნი II

თბილისი
2023

რედაქტორი	მანანა გორგიშვილი
ტექნიკური რედაქტორი	ნინო როსტიაშვილი (ნერუ)
ყდის დიზაინი	ნინო როსტიაშვილი (ნერუ)
დამკაბადონებელი	თამარ ტყაბლაძე

გამომცემლობა „პარნასი“ +

ISBN 978-9941-8-6066-9

რის თქმაც სწადია...

ქართველმა მკითხველებმა და პოეზიის მოყვარულებმა ვალიკო კაკაურიძის კიდევ ერთი ლექსთა კრებული, „ლექსად ნათქვამი ამბები“ მიიღეს საჩუქრად, სადაც ავტორი ჩვეული გულწრფელობით და მისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობით გვეუბნება, რომ:

ლექსი ყოველთვის მიყვარდა,
მოკლე და თანაც ბასრია,
ლექსით ახერხებ იმის თქმას,
რისი თქმაც მუდამ გწადია.

დიახ, „ლექსი ყოველთვის მიყვარდაო“ და ლექსით გვეუბნება, რის თქმაც ძალიან სურს და ამ სათქმელში იკვეთება მისი წუხილი, საფიქრალი, გულისტკივილი, რადგან:

ნაღდი თბილისელები,
თბილისურად ვცხოვრობდით,
განა ღვინით, ან არყით...
სიყვარულით ვთვრებოდით!

ჩვენს წინაშე წარმოდგენილი წიგნის ავტორს სწორედ სიყვარულის ნაკლებობა ადარდებს ჩვენ რთულ და პრობლემათა ზღვაში ჩაძირულ რეალობაში და ცდილობს მკითხველი დაარწმუნოს, რომ ურთიერთსიყვარულის, ურთიერთპატივისცემის გარეშე ჩვენი ყოფა ბევრად გაუსაძლისი იქნება.

გავუფრთხილდეთ, ძმებო, ერთურთს,
დავუყვავოთ, მოვეფეროთ,
ბოროტებას ნუ ჩავიდენთ,
უფალმა არ მიგვატოვოს.

სამშობლოს სიყვარულით, მისი ერთიანობის სურვილით, უკეთესი მომავლის რწმენით არის გამთბარი ვალიკო კაკაურიძის ლექსები. მისი შემოქმედება უფრო მეტად გვაცნობს ავტორს, უფრო მეტს გვეუბნება პოეტის შესახებ. განსაკუთრებით აღ-

სანიშნავია, რომ მან დააფუძნა საქველმოქმედო საზოგადოება „მიმინო“ და სრულიად უანგაროდ, ქველმოქმედთა დახმარებით, გამოსცა სხვადასხვა ავტორთა ერთობლივი ორი კრებული: „ჩემი სამშობლო“ და „საქართველოს სტკივა შოვი და ვერე“.

თუმცა ავტორის სევდიანობას იმედი ახლავს, იმის იმედი, რომ ეს ყოველივე დროებითია და საქართველო გაბრწყინდება. სწორედ ეს არის ჩვენი გადარჩენის წინაპირობა, ყოველ განსაცდელს რწმენის სიძლიერით და ერთად დგომით შევხვდეთ, რათა მომავალ თაობას ღირსეული, გაბრწყინებული საქართველო დავუტოვოთ. ძნელია, არ აგაფორიაქოს, არ ჩაგაფიქროს პოეტის სიტყვებმა...

საიქიოდან მოგმართავთ,
არ დაივიწყოთ ნათქვამი,
ვიცხოვრე, როგორც მინდოდა,
კაცი ვიყავი მართალი!

დღევანდელი რეალობა მეტად მწარე და დამთრგუნველია, რადგან სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე ბევრი სირთულე და მოუგვარებელი პრობლემა დაგვიგროვდა. სამ ათეულ წელზე მეტია თავისუფლებამოპოვებულ რეალობას ღირებულებათა გადაფასება, ტრადიციების რღვევა მოჰყვა, რაც თითოეული ჩვენგანისთვის მტკივნეულია და რასაც გვერდს ვერ უვლის ავტორი:

დრო მოვა და ამ ქვეყნიდან რომ წავალ,
მინდა, მწვანედ ბიბინებდეს ველები,
მაკედონელს სიტყვას დავესესხები:
„სასახლიდან მომიჩანდეს ხელები“.

დარწმუნებული ვარ, ქართველი მკითხველი სათანადოდ შეაფასებს ვალიკო კაკაურიძის ახალ კრებულს „ლექსად ნათქვამი ამბები“ და მას წიგნის თაროზე კუთვნილ ადგილს მიუჩენს.

მანანა გორგიშვილი

ကလေးဘဝပြဿနာ

ဒုက္ခမကျရောက်အောင်

လေး

ဒီနေ့ကတည်းက

2023ခု.

ခေါ်ပေးတော

ကောင်းတာပဲလေ...

ავტორის წინასიტყვაობა

მე ვალიკო კაკაურიძე დავიბადე ქალაქ თბილისში, 1959 წლის 18 დეკემბერს, წმინდა საბას დღეს. მფარველობს ორი წმინდანი, 17.12. წმინდა ბარბარე და 19.12. წმინდა ნიკოლოზი.

წარმოშობით იმერელი, ზესტაფონის რაიონი, კერძოდ - პირველი სვირიდან.

პირველი კრებული ხელნაწერია და შარშან გამოვეცი მეგობრების დახმარებით. ეს უკვე მეორე კრებულია.

ლექსი ყოველთვის მიყვარდა, მოკლე და გარითმული.

ბავშვობაში მეგობრებს დაბადების დღეებზე ვუძღვნიდი ლექსებს.

დედაც წერდა ლექსებს, სამწუხაროდ, მისი ლექსების რვეული დაიკარგა.

დედის საპატივცემულოდ გადავწყვიტე, ჩემი აზრები ლექსად გადმომეცა და ლექსების კრებული გამომეცა.

მიმინო

ლექსად ნათქვამი ამბების მოკლე ანალიზი

ვალიკო კაკაურიძის, ფსევდონიმით მიმინოს, ლექსების წაკითხვისას მკითხველს აუცილებლად გაუჩნდება მის მიმართ სიყვარული, რადგან ყველა ლექსში დაინახავს სამშობლოსა და მამულის სიყვარულს. ქართველი კაცის ვაჟკაცურ სიტყვას.

მიმინო ლექსებით ეტრფის სამშობლოს, საქართველოს ყველა კუთხეს, განსაკუთრებით იმერეთს.

მისი ლექსიდან ვიგებთ, რომ იმერელი კაცია თავად, ლექსით „ტკბილი კვერი“ .

ასევე არ ივიწყებს მშობლებს, ბებიას, ბაბუას, შვილიშვილებს, მეგობრებს და ლექსებით ეფერება მათ.

ბებიის სახეს შეუდარებლად აღწერს ლექსში „მჯობნის-მჯობნი“. ასევე ამ ლექსით ეხმაურება და არ ივიწყებს ქართულ ადათწესჩვეულებებს.

მიმინო ლექსებით ხშირად მიმართავს ღმერთს, ადიდებს უფალს და არ კარგავს უფლის იმედს, რითაც ვხვდებით, რომ მორწმუნე ადამიანია.

ლექსში „არჩევანი“ მოგვიწოდებს,

ბოროტებას ნუ ჩავიდენთ,

უფალმა არ მიგვატოვოს.

ასევე ლექსით „არ იცვლება“ პოეტი გამოხატავს უდიდეს პატრიოტიზმს და სიტყვებით:

აქსაკალი ოქროს მაწვდის,

საქართველო ბაჯაღლოა.

დიდი სიამაყით არის გადმოცემული, სამშობლოსა და უფლის სიყვარული.

ასევე მის ლექსებში ვიხილავთ წუხილს და გულისტკენას გადაგვარებული ადამიანების მიმართ:

ქალს ქალობა აღარ შვენის,

კაცის მე ვერ გავიგე,
ზოგი კაბით დაეთრევა,
ზოგს ყურში აქვს საკინძე...

წუხს პოეტი წარსულზე, დღევანდელობაზე და მომავალ თაობებზეც.

პოეტის მოვალეობაა ლექსით თქვას სიმართლე და ალესილი ხმალივით წეროს ლექსი, რაც მიმინოს ლექსებში ნათლად ჩანს.

წარმატებები შემოქმედებით გზაზე, მიმინო!

ნინო როსტიაშვილი (ნერუ)

* * *

გადასვლებად არ მიმეცვლება,
ეს ჩემი ანდამატები,
დრო მოვა გამოანათებს,
ელქსად წათქვამი ამბები.

2020 წ.

მე და ჩვენ

დავიბადე ვერაზე,
ვიზრდებოდი ვაკეში,
კოჭობანა ვისწავლე,
ჩემი უბნის ბიჭებში.

ბიჭი ვიყავ ხუჭუჭა,
ყველა უბანს ვიცნობდი,
ვაკელების ღირსებას,
ვაკის პარკში ვიცავდი.

ოპერის წინ საათთან,
ძმები ვიკრიბებოდით,
დარიალის სარდაფში,
კოლორიტებს ვხვდებოდით.

ნაღდი თბილისელები,
თბილისურად ვცხოვრობდით,
განა ღვინით, ან არყით...
სიყვარულით ვთვრებოდით!

2023 წ.

ნოსტალგია

მოიღრუბლა, ცა დაბნელდა,
ნელა წვება გულში სევდა.
ქარმა ნაზად დაუბერა
და ფოთლებსაც წრეზე რევდა.

გულის დარდი და ნაღველი,
ისე მაწევს, როგორც ლოდი,
აღარ მძალუძს, დავუძლურდი,
სათქმელი მაქვს ძალზედ ბევრი.

ახალგაზრდა როცა ვიყავ,
არაფერი მაშინებდა,
დღედაღამე ფიქრში ვიყავ,
რომელ ქალაქს ვსტუმროობ ნეტავ?

ახლა უკვე ვბერდები და
ფიქრი დამრჩა მარტო ერთი,
როცა წავალ ამ ქვეყნიდან,
მიმიღებენ იქ ჩემები?

2023 წ.

ლექსით ნათქვამი

ლექსი ყოველთვის მიყვარდა,
მოკლე და თანაც ბასრია,
ლექსით ახერხებ იმის თქმას,
რისი თქმაც მუდამ გწადია.

შენად ნათქვამი სიტყვები,
განა სუყველა კარგია,
გულზედ მალამოდ სადები,
თითო-ოროლა ასშია.

2020 წ.

იყუჩე

ყველა კაცი თვითონ ირჩევს,
თავის ბედის ისტორიას,
არავის აქვს თქმის უფლება,
ჰკითხოს, რისთვის ანდა რატომ!

ნუ ჩაძვრები კაცის სულში,
ნუ გაქექავ სხვის ცხოვრებას,
ღმერთი ურმით დაბრძანდება,
ყველას თავის მიეზღვევა.

2021 წ.

ადამის მოდგმავ!

ადამიანის ბუნება ამინდს ჰგავს, ასე მგონია,
პაპანაქება სიცხეში ხანდახან წვიმის ომია.
ზეცას შეხედავ, რას ხედავ? ცად ცისარტყელა ხამ-პურობს,
წვიმის წვეთები ჯერ კიდევ ხის ტოტებიდან წკაპუნობს.

ადამის მოდგმა, ბუნება, დაუნდობელი სულია,
მლაშე წვეთებად იღვრება, ღაწვებზე წვიმის სუნია.
ძმათა გულები დამშრალა, შეუბრალებლად ორგულობს,
ბოღმა და გაუტანლობა, შთამომავლობად ორსულობს.

2023 წ.

ᲐᲠ ᲕᲔᲛᲝᲜᲔᲑᲘ ᲓᲠᲝᲡ

რავარი ბიჭი ვიყავი,
ხუჭუჭა, პაწაწკინტელა,
ვბერდები, გავჭაღარავდი,
გზამ სასრულისკენ მიმდენა.

თავის ხიბლი აქვს ყველა დროს,
როს გადავხედავ აწმყოდან,
თავს სიბერეშიც ყოჩად ვგრძნობ,
თვალწინ დამირბის, ბავშვობა.

2023 წ.

ალალად

ცხოვრებაში მუდამ ხელგაშლილი ვარ,
გულში მყავხართ სუყველანი, ჭირიმე,
არასოდეს მშურებია არვისა,
არასოდეს არაფერზე ვტირი მე.

დრო მოვა და ამ ქვეყნიდან რომ წავალ,
მინდა, მწვანედ ბიბინებდეს ველები,
მაკედონელს სიტყვას დავესესხები,
„სასახლიდან მომიჩანდეს ხელები!“

12.09.2023 წ.

არ გვინდა აუგი

თუკი რითმა რითმას ერწყმის,
თანაც ლექსიც კარგია,
მხატვრულობა თუ აკლია,
ეს რა ჩემი ბრალია.

ლექსებს მხატვარს გავუგზავნი,
რომ დაატყოს ფერები,
ალბათ მაშინ მოიწონებთ,
პოეზიის მტრედები.

2023 წ.

ოქროს წლები!

სკოლის კარი რომ შევაღე,
ჯერ არ ვიყავ შვიდი წლისაც,
ზარის ხმაზე უცაბედად,
ტანში სისხლი გამეყინა.

წლები გარბის მიყოლებით,
ჩვენც ვიზრდებით ნელა-ნელა,
შატალოზეც გავიპარეთ,
უკვე ყოჩობს თითქმის ყველა.

ათი წელი სწრაფად განვვლეთ,
წლებმა უცებ გაირბინა,
ოქროს წლებიც დამთავრდა და
მოგონებას მიეწერა.

2020 წ.

ნუ დაივიწყებ ადათსა!

თუ ქართულ ადათს მიჰყვები
და იცავ ქალის ღირსებას,
შენ არ გაქვს იმის უფლება,
სხვის ქალს შეეხო ღაწვზედა.

სალამი უთხარ შორიდან,
მოწიწებით და რიდითა.
შენ მისი ნახვა გიხარის,
არა მისდამი ლტოლვისა.

კაცი მაშინ ხარ, როდესაც
ჩემს ნათქვამს გაითავისებ.
არადა, ღმერთმა დაგლოცოს,
ხანჯალს ვერ ირტყამ სამოსზე!

2021 წ.

ცხოვრების გაკვეთილი

მდინარეში ქვა ჩავაგდე,
ფსკერზე დარჩა, წყალს არ გაჰყვა,
ფოთოლს წონა რომ არა აქვს,
წყალს მიჰყვება აღმა-დაღმა.

გაღმა ნაპირს გამორიყავს,
ლამს მიაყრის ავი ტალღა,
ჩაძირულ ქვას ვერას აკლებს,
წლებად ხავსი ეკიდება.

2020 წ.

ონავრები

თუკი ერთხელ მეზობლისას,
მოგიპარავს ხილი,
იცოდე, რომ ბავშვობა გაქვს,
გამოვლილი ტკბილი.

ამ დროს ისმის მეზობლის ხმა,
მოძახილი თბილი,
მკვახე არის, ონავრებო,
მოგეჭრებათ კბილი.

2023 წ.

არჩევანი

ბოროტება და სიკეთე
მუდამ ერთადა არიან,
მთავარი არის შენ თვითონ,
დღეს ნუ აირჩევ ქარიანს.

გავუფრთხილდეთ, ძმებო, ერთურთს,
დავუყვავოთ, მოვეფეროთ,
ბოროტებას ნუ ჩავიდენთ,
უფალმა არ მიგვატოვოს.

2020 წ.

გაზაფხულის ამბები

სადღაცა უხვი თოვლია,
სადღაც მზემ გამოანათა,
მინდორში ია, ენძელა,
დავლურს ცეკვავენ ლხენითა.

არ გეგონოთ თოვლი მოდის,
მონაბერი ნამქერია,
მარტი კარზე მოგვადგა და
გაზაფხულის ამბებია.

2023 წ.

გულო, შენ გაიხარე!

მთებზე ყინული როს დნება,
წვეთები ცრემლებად ჩნდება,
ცრემლები ნაზი ალერსით,
მთის კალთებს მოედინება.

მზესაც ძალა ემატება,
მიწას მოესალბუნება,
წვიმა წამოვა ჟუჟუნა,
ცისარტყელაც გაანათებს.

მალე გაზაფხულიც მოვა,
ნაკადულიც იჩუხჩუხებს,
აყვავდება არემარე
და გულებიც გაიხარებს.

2023 წ.

პოეტის დამღა

მინდა გამოვთქვა ჩემი აზრები,
ქარს გავატარო ზეცაში მაღლა,
მიმოიფანტოს მთელ სამყაროში,
ხალხმა გაიგოს პოეტის დამღა.

კაცის, რომელსაც არა აქვს დაღლა,
თქვენს სიყვარულში არ ითხოვს ღალას,
არავის უშლის სიარულს მაღლა
და არასოდეს სათქმელს არ მალავს.

გავითავისე ხალხის ტკივილი,
ლექსად წარმოვთქვი, თან ცრემლი ახლავს,
წიგნმა დაკარგა თავისი ფასი,
სხვენში შემოდეს და თაგვი დახრავს.

2022 წ.

გამახსენა ის დრო...

დღეს ქუჩაში სულ შემთხვევით,
მოვისმინე ტკბილი სიტყვა.
- გამარჯობა, ჯულიეტ მასწ,
ხომ ჯანმრთელად ბრძანდებით?
- ვერ გიცანი, ჩემო კარგო,
მაპატიე, დავბერდი.
- მე გიგა ვარ, ოცი წლის წინ,
ბაღში ბევრს რომ ვტიროდი.
თქვენ გვასწავლეთ ანი-ბანი,
ერთმანეთში სიკეთე,
ჩვენც ისეთი გავიზარდეთ,
თქვენ რომ წიგნი გვიკითხეთ.
- ის გიგა ხარ? ბიჭო, გიცან,
ეკას თმებს რომ წიწკნიდი?!
- სწორედ ის ვარ, ჯულიეტ მასწ,
როგორ გახსოვთ ამდენი?
- სახელს და გვარს ვერ ვიხსენებ,
ქცევით?
- ქცევით კი, ბატონო, მახსოვს კიდევ რამდენი!
დაგიბერდით, ჩემო გიგა,
წლებმა ხელი დამრია,
მაგრამ ახლა ამ წუთებში ჭრელი კაბა მაცვია.
ჩამირბინა იმ ტკბილ წლებმა,
მოგონებამ ამრია.
შემოგევლე, ჩემო ტკბილო, ჩემო ცელქო ბაღანა.
იცი, როგორ გამახარე, დამაბრუნე იმ ხანას.

24.09.23 წ.

ვწუხვარ!

თავს ვიტყუებთ ყველა ერთად,
აქ მყოფელი ქალი, კაცი,
ვითომ გვიყვარს პოეზია,
ეს სიმართლე სულ არ არის.

ვიკრიბებით საჭორაოდ,
სანახავად ერთმანეთის,
მერე ფოტოს გადავიღებთ,
ზედ ტორტი და სავანეთი.

მერე კომენტარს დამიწერთ,
მიყვარხარ და მაგარია,
არც კითხულობთ, ისე ამბობთ,
საოცრება, რა კარგია.

დიდი გული, თაიგული,
ყველა ერთად მომაყარეთ,
ჯობდა გულით წაკითხული,
დამენახა თქვენი მხარე.

ერთურთს ჩვენ თუ არ მოვუსმენთ,
აზრი არ აქვს ლექსის წერას,
ასე გინდათ თაობები,
აზიაროთ პოეზიას?!

პატივი ვცეთ ამ სასახლეს,
სადაც სახლობს სული მათი,
ილიას, ტატოს, აკაკის,
გალას, ვაჟას და დავითის.

2023 წ.

სიკვდილს პოეტი ამარცხებს

სიკვდილ შამამხვდა სიზმარში,
გული დარდით აქვს სავსეა,
პოეტი ვერს გზის მავჰკალი,
მაინცა ცოცხლობს ხალხშია.

თვის დამარცხებას ჩიოდა,
მოსთქვამდა, ვითარც ბალღია,
ცელი ბეჭზედა გადიდო,
გაუჩინარდა პირღია!

წასვლისას სიტყვა დატოვა,
გაცოცხლებულან ლექსითა,
ვაჟა, ილია აკაკი...
გალაკტიონი თავშია!

04.10.23 წ.

ხან ისე და ხან ასე

ეს ცხოვრების ბორბალი,
ყველას თავზე ტრიალებს,
ზოგი თვითონ აბრუნებს,
ზოგს იქით ატრიალებს.

ტრიალებს და ტრიალებს
ზოგჯერ დაგვაზიანებს.

ზოგის ჩქარა, ზოგის ნელა,
მაგრამ მაინც ტრიალებს,
ეს ოხერი ბორბალი,
თავის ჭკვაზე ტრიალებს.

ტრიალებს და ტრიალებს,
ზოგჯერ გაგვამზიანებს.

2023 წ.

დრონი

ხმობას იწყებდა კაკლის ხე,
ეზოში იდგა ცალადა,
უფოთლო, უმსხმოიარე,
ტოტებიც ფიჩხად სცვიოდა.

ახალგაზრდებმა იფიქრეს,
მოვჭრათო, აღარ გვარგია,
მოხუცს თვალს ცრემლი მოადგა,
მეც აღარაფრად გარგივართ?!

- მიწაზე როცა მყარად დგას,
ფესვები ალბათ მძლავრი აქვს,
მის კენწეროზე უთუოდ,
ჩიტები ბუდეს დაიდგამს.

თვალში როდესაც „გიდირებს“,
ნუ მოაცილებ მიწასა,
თვალი აჩვიე მის ყოფნას,
რომ მეხი აგარიდოსა.
-
გიდირებს: კუთხური-ცუდად გხვდება თვალში.

2023 წ.

სოფლის ცხოვრება

დილით ადრე გარიჟრაჟზე,
გავიღვიძე მამლის ხმაზე,
წამოვდექი უმალ ფეხზე
და პირჯვარი გარდვისახე.

უცბად ფრთოსნებს გადავხედე
და ოთხფეხაც დავაპურე,
მეზობელსაც გადავძახე,
საქონელი გამოდენე.

ხარებს ერეკება მეხრე,
მხრებზე უდევს გრძელი სახრე,
მოღიღინებს მენახირე,
ნახირს მიუყვება გზაზე.

სოფელს არ ელევა საქმე,
როცა კაცი არის გამრჯე,
თუკი კაცი არის ბეყე,
წასულია მისი საქმე.

2023 წ.

ნაბახუსევი

დილა გათენდა დამძიმებული,
გული ძვლივს ფეთქავს, თავიც მისკდება,
სადღაც შორიდან ჩამესმის ყურში,
ამდენი სმა რომ არ შეიძლება?!

არვის ეგონოს, რომ ჭკვა დავკარგე
ან კიდევ, ვინმეს გამოვეკიდე,
ღვინითა სავსე „ხრუსტალის“ ვაზა,
თურმე სუფრაზე სამჯერ დავცალე.

ახლა კი ვფიქრობ სამკურნალო ხერხს,
ვფიქრობ და ისიც არ აგვიანებს,
ჭიქა არაყი გამიხსნის მადას,
ხინკლის წვენი კი ღმერთს მაზიარებს!

16.09.2023 წ.

ქობულეთს

მზემ მიიძინა ღრუბლებში,
„პლაჟი“ იცლება ნელ-ნელა,
მაწყნარებს ტალღების ხმა და
ბარიდან არმსტრონგი, „ჯაზ-სთარ“.

შემოვრჩით ორნი ზღვის კიდეს,
ცხელ ყავას კონიაკით ვსვამთ,
ვიხსენებთ ზაფხულის ძველებს...
ჩვენ ახლა პატარები ვართ.

ვემშვიდობებით ქობულეთს,
ეს დღეც წარსული იქნება ხვალ.
უფალო, შენი შეწევნით,
მრავალჯერ შეგვყარე (შავ)-ზღვას.

29.08.2023 წ.

„ბარიშნა“

ექსპრომტი

კაბრიოლეტს ამშვენებდა „ბარიშნა“,
მანქანიდან ფრიალებდა შავი თმა,
შუქნიშანზე გავაჩერე „მაშინა“,
„ვიგონკაოთ“ შორიდანვე შენიშნა.

მანქანაში ქალი ჩანდა მშვენება,
გადავედი, გზა დავუთმე ნელ-ნელა,
გაზზე ფეხი დაადგა და გაფრინდა,
შორიდან კი ფრიალებდა შავი თმა...

2023 წ.

იუმორესკა

დავფიქრდი,
მინდა გულით გავიგო,
ვანმა და ხონმა რა ვერ გაიყო.
რა ქონი ჰქონდა ნეტავ ასეთი?
რწყილის გულისთვის ომი დაიწყო.

იმერლებში ქონი იყო მიზეზი,
მსოფლიოში, ყველამ იცის, მგონია.
კახელებში ჯერ ვერავინ გაიგო,
მაცოდინა შუღლი რაზე აიგო.
თელავმა და გურჯაანმა ნეტავ რა ვერ გაიყო.

22.08.2023 წ.

განა, ლოთი ვარ?

- ჰეი,
მიკიტანო,
ღვინო დამისხი!
რომ შევზარხოშდე და გულით გაქო,
არ შეყოყმანდე, ნამუსს გაფიცებ,
თუ დახლის იქეთ ის კიდევ გაქვსო!

ღვინოსაც დავლევ, თუ გინდ არაყსაც,
საცაა მტკვარზე შემომაღამდა.
მოვკვდები და დაგედებით სუყველას,
მალამოდ და სიყვარულის ვარაყად.

- არ გეგონოს ბავშვობიდან ლოთი ვარ,
ანდა ღვინო წყاროსავით მწყურია.
მეგობარი მეგობრისთვის ჭურია,
შემოგევლეთ ქრისტიანს და ურიას.

2023 წ.

ᲣᲛᲐᲓᲣᲠᲘ

ყველა რუსეთში გარბოდა,
ვისაც გახედნა უნდოდა,
რუსმა ქალებმა ამგვარად,
რუსს გენი გამოუსწორა.

წყალს ვასმევდით გაზიანს,
კონიაკს ხუთვარსკვლავიანს,
ქვევრს ვხსნიდით პაპის ათწლიანს,
სუფრას ვუშლიდით მადლიანს.

ახლა უვლენს აგრესიას,
კავკასიას და აზიას,
ცხოვრება ჩვენგან ისწავლეს,
ახლა კი თავზე გვაზიან.

2023 წ.

რა შეგრჩება

სვი და ჭამე, იქეიფე,
მეგობრებთან ერთად.
დრო დადგება,
მოინატრებ,
იმ გარდასულ დღეთა.
მწვადს ვერ შეჭამ,
ღვინოს კიდევ,
ექიმები კვეცავს,
რომ მოკვდები,
იმის მერე,
მოგონება რჩება.

29.07.2023 წ.

ხალხის ფსიქოლოგია

ბავშვობაში ლექსს დაწერ და
იტყვიან, რომ არის გიჟი.
როცა სიბერეში დაწერ,
იტყვიან სულ გაუბერა.

მზე ამოვა მისი სხივი,
ამ ჩემს ნაწერს გაანათებს,
ნათელს მოჰფენს ჩემს ნათქვამს და
თქვენ იცინეთ, მე კი დავწერ!

2020 წ.

„იმერელო ქალო, პრასი პარია, ჩემს ეზოში პრასი, მოგიპარია“...

ლექსი უნდა გაწერინოს,
სიხარულმა ან ტკივილმა,
იმ წუთების მოსაგონად,
როცა შენში მუზას ღვიძავს.

შპარგალკა და გადაწერა,
სკოლაშიაც არ მიყვარდა,
ლექსის წერას ვინ გაძალებს,
მოუქსოვე ბავშვებს წინდა!

რა აზრი აქვს რას იპარავ,
აქლემს, ნემსს თუ სტრიქონებს,
მკითხველი რომ მიგიხვდება,
ვაი პოეტს გიწოდებს!

21.10.23 წ.

არ ვარ პოეტი

აღარ მინდა ვწერო ლექსი,
მე მწერალი არა ვარ.
თქვენი ჰანგი ჩემს სიმებზე,
არ ეწყობა, როგორ ვქნა?!

მირჩევნია განზე გავდგე
და გიცქიროთ შორიდან.
ჩემი თქვენ ვერ გაგაგონეთ,
მე კი, თქვენსას ვერ ვიტან!

იყავით და წერეთ ბევრი,
რომ ფურცლები დაღალოთ,
ბოლოს მაინც თქვენგან ერთი,
დაფნის გვირგვინს დაიდგამს!

2023 წ.

დედის გული

ერთსა ლამაზსა კუთხეში,
სადაც ბარს მთები შვენოდა,
სიყვარულში და ხალისში,
ტკბილი ოჯახი ცხოვრობდა.

ცას ბინდისფერმა გადაჰკრა,
ოჯახმა ბურჯი დაკარგა,
ცრემლმა ღიმილი ჩაკარგა,
ტკბილი ცხოვრებაც იქ გაქრა.

დარჩა ობოლი ზურიკო,
დედის და ბებოს იმედი,
თორმეტ წელს ისე გადასცდა,
არ აგრძნობინეს ავბედი.

წლები უეცრად გაფრინდა,
ობლობაში წამოზრდილი,
ყმაწვილობისკენ ილტვოდა,
ულვაშიც წამოღინღლოდა.

წლებმა თავის დრო მოჭამა,
ოჯახს ეწვია სტუმარი,
მეზობლის კაცი ბერდია,
შემოეგება ბებია.

მაყვალა, სუფრა გაშალე,
ბებიამ თვალით ანიშნა,
დედამთილს არ აწყენინა,
ტაბლა გამოდგა კარშია.

პური, მარილი და ღვინო,
სუფრას ამშვენებს არშიანს.
სტუმარმა ღმერთი ახსენა,
 დალოცა ფუძე და კერა.

შესანდობარი დალია,
უდროდ წასული კაცისა,
შემდეგ სიტყვები წარმოსთქვა...
ზურიკოს გული აკვნესდა.

- თალიკო, ჩემო კეთილო,
მოყვრად ვარ თქვენთან მოსული,
შენს ვაჟკაცს სულის ცხონება,
რძალს კი პატრონი სჭირდება.

ჩემს უფროს ძმისშვილს გთავაზობთ,
კაცობა არ ეწუნება.
ისიც ქვრივია და მასაც,
ობოლი გოგო ეზრდება.
ზურას მამობას გაუწევს,
არ აგრძნობინებს ობლობას.

დინჯად უსმენდა თალიკო,
არ ავჩქარდეთო ერთი სთქვა,
(თან წარბი მაღლა ასწია).
- მაყვალას დავეკითხები,
პასუხს გაცნობებ, ბერდია.

ეს სიტყვები მოსასმენად,
ზურიკოსთვის იყო მწარე,
დაწვა, მაგრამ ვაი, ამ დღეს,
ხვალინდელის გათენება
აღარ სურდა, სლუკუნებდა.

მთელი ღამე მამის აჩრდილს,
აჩრდილივით დაეძებდა.
ბორგვა-გმინვით მთვარის შუქზე,
თვალზე ცრემლი უგორავდა.
ბოდავს ბიჭი მთელი ღამე,
მამას უხმობს ბოლო ხმაზე.

დედის გულს რა ეპარება?!
იგრძნო შვილის გაჭირვება,
გულში მაგრად ჩაიხუტა
და ქოჩორი აუბურდა.

- თავს მოვიკლავ, გაგაფრთხილე,
არ დაიდო ჩემი ცოდვა,
მე არ მინდა დიდი ოდა,
წმინდა მინდა მამის ხსოვნა!

- არ იდარდო ერთი წამიც,
არ მანახო თვალზე ნამი!
ნამუსს არ გავცვლი კაცშია,
ხსოვნასა მამაშენისას,
არ გავთხვრი მე ტალახშია!

2023 წ.

პეტრიოტული ლირიკა

ძმობის ხიდი

სალამი, ენგურო, აქა ვარ, შენს ხიდზე,
მოვედი, ნატკენ ბილიკზე შემეხიდე!
ოდესღაც უსაშვოდ მივლია ეს ხიდი,
შავი ზღვის ნაპირზე კარავსაც ვშლიდი.

სოხუმის ნატრული მოვადექ ნაპირებს,
ახლა კი ვერაფრით ვერ ვუხსნი ამ პირებს...
სოხუმი, გულრიფში, მაჭარკა, გენწვიში,
მეგრელთა, სვანთა და მშვენება აფხაზთა,

იყო და იქნება ძმობა და ერთობა,
ვერ დავთმობთ ქართველნი ერთა და ერთ ძმობას!
ვიხსენებ სამოთხის გასაღებს „სტანციას“
ბარათაშვილის და ცრემლები დამცვივდა.

მზის ჩასვლის ყურება რად ღირდა „პრიჩალზე“,
ნაპირს ამშვენებდა სხვა დიოსკურია,
ამრა, აპრა და კაფის წინ პალმა,
„დელფინთან“ რიგები ყავისთვის, ქვიშაზე.

ის სუნი ახლაც მცემს, გონების ჯინაზე,
ყურებში ჩამესმის ძახილი წუილით,
„კოფე პა სოხუმსკი“, სოხუმში ისმევა,
წარსულის განცდებით გონი ვერ იცლება,

დარდით და ნაღველით გული კი ივსება.
ვიხსენებ წებელდას, მივყვები მდინარეს,
აფხაზეთ-სვანეთის მშვენებას მივადექ,
აქედან იწყება და-ძმობა ჩვენ ხალხთა,

ქართველთა, აფხაზთა მოყვრობა-მძახლობა.
აფხაზს ცოლად ჰყავდა ქართველი მარინა,
ქართველს დედა ჰყავდა აფხაზი ასიდან,
აფხაზი სვანეთში სათიბებს თიბავდა,

სვანი კი აფხაზებს ნობათს უზიდავდა,
მკაში და თესვაში ცხოვრობდნენ ძმობაში,
ლუკმაპურს იყოფდნენ ბადიშის გრძნობაში.
რა არ მინახავს და რას არ მოვესწარი...

„გრუზინ, ვაშ პროპუსკ“ მაფხიზლებს ხმა მკაცრი და...
მუხლებში გამცრა, მერჩივნა მოვეკალი,
მშობლიურ მიწაზე, - „ვგასწიახ, ილი კაკ“...?!

2023 წ.

შინდისის გმირებს

იმ ბიჭების სადიდებლად,
გამივლია კალმით ხნული,
ხსოვნას ვამბობ დევგმირების,
ვისაც ცეცხლად ენთოთ გული.

მტარვალი რომ კარს მოგვადგა,
არ დაინდეს თვისი სული,
ოცდაორი ვაჟკაციდან,
შეწყდა ჩვიდმეტის ქუხილი.

გალობით და ლოცვით ღვთისა,
თავად დაიფლითეს გული
და შინდისის მიწაწყალი,
კვნესდა, როგორც განგმირული.

მტერთან ტყვეობაში ყოფნას,
ამჯობინეს თვით სიკვდილი!
ისე გააკვირვეს რუსი,
ცხედრებს მოუხადა ქუდი.

ბევრი გმირი გამოზარდა,
ჩვენმა ერმა არნახული,
ქართველების გმირობაზე,
საუბრობდა ყველა რჯული!

2023 წ.

ა რ ი ც ვ ლ ე ბ ა !

საქართველოს შვილი მქვია,
ფეხი სად არ დამიდგია,
ბევრი მიწა მომივლია,
რწმენა არ შემირყევია.

ისიკული, რიზე, თასუ,
ხეტიალში გამივლია.
ბაბა სასახლეს დამპირდა,
ჯვარი ვერ დამაგმობინა.

აქსაკალი ოქროს მაწვდის,
საქართველო ბაჯაღლოა.
ვერც თასუზე შემაცდინეს,
სახელი არ შემიცვლია.

ოქრო-ვერცხლზე არ იცვლება,
არც სამშობლო, არცა რწმენა,
საქართველოს შვილი მქვია,
ასე მოვკვდე მირჩევნია!

P.S.
ლექსი დაწერილია საკუთარი ცხოვრების ნამდვილ ფაქტებზე.

2021 წ.

ტკბილი კვერი

როცა სიო დაუბერავს სვირში
და ჩამოჰყრის „ნიგვზებიდან“ ფოთლებს,
ხეზე ტკბილად იგალობებს ჩიტი,
სამოთხეს ჰგავს ჩემი იმერეთი.

ჭიდან წყალს რომ ამოვიღებ,
დაცვარული ხელადით,
ყლუპს გადავკრავ, გულით გეტყვით,
სამოთხეში მობრძანდით!

მეც ამ სამოთხის შვილი ვარ,
თვალწარმტაცსა ვეფერები,
ყველა კუთხე მიყვარს, მაგრამ
იმერეთს, იმერეთს შემოვევლები!

2021 წ.

ვაი, თბილისელო!

თბილისს ეტრფი, ფერებს ხატავ,
თბილისლობას იბრალებ,
სიგარეტის ნამწვავს კიდევ,
ურნაშიაც ვერ აგდებ.

რა გიწოდო მეც არ ვიცი,
სოფლელობას ვერ გკადრებ,
იმ ბრწყინვალე, უმანკო ხალხს,
მე გულს ნაღდად ვერ ვატკენ.

ისე, კარგად დაიხსომე,
ნირიახა ყოფილხარ,
შენს თავს პატივს თუ არა სცემ,
სხვისთვის სულ არ ვარგიხარ!

2023 წ.

მტკივა

კაცობრიობა სულ გადაგვარდა,
ერმა იერი სულმთლად დაკარგა,
გარყვნილება და ერთურთის მტრობა,
რატომღაც მოდას გაუთანაბრდა.

ამპარტავნობამ უფრო იმატა,
მიმტევებლობა ნეტავ სად გაქრა?
მე გული მტკივა, ამას რომ ვამბობ,
ასე ხომ ერი სულ გადაგვარდა.

2021 წ.

რატომ?
იმიტომ...

მსოფლიოს ყველა კუთხეში,
ბუნება სულ გადირია,
მიწაზე ეშმა ძირს გვაცლის,
მაღლიდან ღმერთი გვიწყრება.

დაგროვდა ქვეყნად ცოდვები,
ყველა რჯულისა კაცისა,
ისე შესცოდა სამყარომ,
ღერძის გაღუნვა იწყება.

08.08.2023 წ.

პატარაა თუ დიდია!

მოდას აჰყვა სამყარო,
ხვევნა-კოცნით, მტლაშა-მტლუშით,
მესიჯით გულების გზავნით,
გულმა ხომ ფასი დაკარგა.

მიტომ იმრავლა ვირუსმა,
ინსულტმა, ტაქიკარდიამ,
ოჯახში არეულობამ,
შვილებში გაუცხოებამ.

„სემიჩკასავით“ რომ მაყრი,
გულებს წითელს და ბანტიანს,
შენ თუკი მეგობარი ხარ,
სიტყვით დამლოცო, ჯობია!

2022 წ.

რწმენა და იმედი

ზამთრის დილა გაგვითენდა,
ღვთიური და მშვენიერი.
ქრისტე იშვა, გიხაროდეთ,
ერო, გაშალე ფრთები!

გეყო ტყვეობაში ყოფნა,
გაახილე ორთავ თვალი,
ირწმუნე, რომ ღმერთი გწყალობს,
მტერს არ დაუხარო თავი!

წართმეულიც დაიბრუნე,
მსოფლიომ რომ დაგაფასოს,
ტრანსგენდერობას მოეშვი,
საქართველო არ დაკარგო!

2022 წ.

ვაი, სამშობლოვ!

სამშობლოსთვის გული გტკივა?
ეს არ ნიშნავს ომობდე!
დღეს ქვეყანა უსისხლოდაც,
გადაგვარდა ბოლომდე.

ქალს ქალობა აღარ შვენის,
კაცის მე ვერ გავიგე,
ზოგი ქუსლით დაეთრევა,
ზოგს ყურში აქვს საკინძე.

ჩემი გულის დარდები,
ყველა ერთად ავკინძე,
თუ სათქმელი ფასს ვერ იძენს,
ღმერთი მაინც შეისმენს!

2023 წ.

ᲛᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲕᲘᲬᲐᲛᲔ!

დემეტრე თავდადებული,
ასიათასი მოწამე,
საქართველოსთვის ეწამნენ,
მე საქართველო ვიწამე!

იმერეთში მოწამეთა,
მთის მწვერვალზეა გორგოთა,
ახალციხეს ვარძია და
რაჭის მთაზე ნიკორწმინდა.

ქართული ჯიში-ჯილაგი,
ჩვენთვის არს დაუვიწყარი,
წმინდაა ნაკურთხ წყალივით,
საოცნებო, სანუკვარი.

2023 წ.

დედულეთს

დედულისკენ მივდიოდი,
გავიარე ხაშური,
გვირაბიდან რომ გავძვერი,
სიოა მადის აღმძვრელი.

ნიავმა შემოუბერა,
ფილტვებმაც იგრძნო საშველი,
რისი შოვი და უწერა,
ამას ვერ აღწერს მნახველი.

სამტრედიისა ხილვისას,
უცბად მეცვალა გუნება,
„ჭაპულას“ სუნი ვიგრძენი,
ვერ გავუძელი ცდუნებას.

აქ ხაჭაპურებს აცხობენ,
ქვეყნად არა ჰყავს ბადალი,
მუზებად შემომეწერა,
გამოვიყოლე საგზალი.

ნიორწყალი და წიწილა,
ეკალა ნიგვზით ნაკმაზი,
ციცქა და ცოლიკოური,
სიმღერა ძალზედ ლამაზი.

კეცზე დაჯენილ თხელ ჭადებს,
თხილის ფოთლები საფრადა,
იმერეთს ასე სჩვევია,
თავს გაგრძნობინებს ზღაპრადა.

P.S.
იმერეთი, რომ გვიყვარდეს,
არ სჭირდება ატესტატი,
გულში სიტკბო უნდა გქონდეს,
ჩაგიხუტებს „ადრესატი“!

2023 წ.

თბილისს

ბევრი რამ თქმულა თბილისზე
და ხოტბაც ბევრი შეუსხამთ,
მეც მინდა ჩემი სიტყვებით,
იმათ რომ მხარი ავუბა.

მე რომ თბილისი მიყვარდეს,
ნურვის ნუ გაუკვირდება,
აქ დავიბადე, ვიზრდები,
თბილისი სისხლში ჯერდება.

თბილისს შუაზე ორად ჰყოფს,
კარგის და ცუდის მნახველი,
მღვრიე ამშვენებს მდინარე,
მტკვარია მისი სახელი.

თავს ნარიყალა უმშვენებს,
როგორც მეფესა გვირგვინი,
ხმლითა და თასით დამხვდური,
ქართლისა დედაც აქ არის.

შენს მზეს და მთვარეს ვლოცულობ,
შენს სიყვარულში მთვრალი ვარ!
მეამაყება, თბილისო,
რომ შენს ქუჩებში დავდივარ!

30.09.23 წ.

პირველი ემიგრანტები

წითლების ჯარი მოვიდა,
ხალხზე დაიწყო ნადირი,
თხა და ძროხა ვისაც ჰყავდა,
კულაკიაო ნამდვილი.

სახლიდან ძროხა წაართვეს,
ნალიიდან კი სიმინდი,
განაწყენებულ ვაჟკაცებს,
ტყე შეიფარავს და ბინდი.

გამწარებულმა გლეხკაცმა,
კედლიდან მოხსნა ორპირი,
ნაბადი ბეჭზე მოიგდო
და ტყისკენ უყო თავს პირი.

არმიამ ტყისკენ გასწია,
ბიჭების დასახოცადა,
ვინც მოკვდა გმირად შერაცხეს,
დასცხეს სიმღერა მათ ცათა.

ცოცხალმა ბევრმა ტყვეობას,
თურქეთის მიწა ირჩია,
უცხო მიწაზე დასახლდა,
სიკვდილს ზნის შეცვლა არჩია.

ძველი თაობა წავიდა,
ახლებმა ნირი იცვალა,
ბევრი ბოლომდე გათურქდა,
ბევრი ქართველობს დღესაცა.

2023 წ.

ქართველები

ოსმალომ ქართველს გულიდან,
ჯვარი მოგლიჯა ნაკურთხი.
უბძანა, ზედ შედგომოდა,
თან მიაყოლა ნაფურთხი.

ქართველმა ჯვარის წაბილწვას,
სიკვდილის ხვედრი არჩია,
ყველა ოსმალოდ მონათლეს,
ვინაც ჯვარს ზურგი აქცია.

გულში უცეცხლოდ იწვოდნენ,
ქრისტეს უჩუმრად ლოცავდნენ
და ცოდვის გამოსასყიდად,
პურზე ჯვარს გამოსახავდნენ.

აიძულებდნენ, უარჰყავთ
ჯვარი, ქრისტე და მამათი,
მაგრამ მათ მალვით უნახეს
თაობებს ქართულ ადათი.

25.09.23 წ.

გაუმაძღარი

შემოვიდა რუსის ჯარი,
აგვიოხრა გორი, ჯვარი,
ჩვენი სისხლით ვერ გაძღა და
თან წაიღო უნიტაზი.

ღორი, რისი ღორი არის,
უნდა ჭამოს... თან ვერ ძღება,
ტალახშიაც იგორაოს,
ნეხვსა სჭამს და ეღიმება.

მსოფლიო რომ ღორად იცნობს,
ადასტურებს ამას ყველა,
საკუთარი ოხრად რჩება,
სხვის მიწებს კი ეტანება.

იმ გერმანელს გაუმარჯოს,
შედარება რომ თქვა სწორი,
„დუ ისტ შვაინ“ გერმანულად,
ქართულად კი, შენ ხარ ღორი!

2023 წ.

სკოლისაკენ, ჰერიო!

სკოლისკენ მიაბიჯებენ,
პატარა გოგო-ბიჭები,
ანცები, მაგრამ ზრდილები,
ბაბთით, ყელწამოზრდილები.

სამშობლოსათვის იზარდეთ,
არ შეგერცხვინოთ გენიო,
მშობლისა ლოცვა აგიხდეთ,
ხარობდეს თქვენით ერიო!

15.09.2023 წ.

თელაველებს

თელავი არის ოდითგან,
ძველი კულტურის ქალაქი.
ბევრი ვარამის მნახველი
და ისტორიით ამაყი.

ერეკლე მეფეს სამშობლო,
სტუმარს აქ გულით ხვდებიან.
ცაში კამარა შეკრული,
მტრედებიც ეგებებიან.

07.10.23 წ.

უნდა ვასახელო!

მე არ მინდა ბაღში წასვლა,
განაცხადა თედომ სახლში,
რათა, ბაბო დაგეწამლოს,
ყველა ბავშვი დადის ბაღში.

ბაღში ფაფას გვაძალებენ,
უშაქროს და უმარილოს,
უკვე დიდი ბიჭი ვარ და
მინდა ვგავდე პაპა შაქროს.

მირჩევნია პაპას გავყვე,
რომ ნახირში მივეშველო,
პაპა უთხარ ქალებს რამე,
იქნებ სიტყვა შემაშველო.

ფაფის გარდა, ჩემო ბიჭო,
წიგნებსაც ხომ გიკითხავენ,
რომ არ დარჩე შენ უნიჭო,
ნახირს სხვებიც მიხედავენ!

პაპის გვერდზე უსწავლელი,
ვერ დავრჩები, შენც ხომ იცი?!
თავად წერდა ისტორიას,
თვალით ნახა ყველა ომი!

მან მასწავლა ჩვენი ქვეყნის,
რწმენაც და სიყვარულიც,
ისე ძლიერ მიდუღს სისხლი,
როგორც შვენის ქართველ რაინდს!

გავიზრდები სასახელო,
რომ ქვეყანა ვასახელო,
ჩემი სახით ჩემს სამშობლოს,
ადიდებდნენ საქართველოს!

23.10.23 წ.

გლოვის დღეები ულიმიტოა...

ვერ გადავშალე ჯერ ეს ფურცელი,
ვერ ამოვშალე გლოვა გონიდან.
შავ ზოლად გასდევს ზმანება ვრცელი,
ვითარც ზარები მცემს თავს გონგი და...

ვერ იყვავილა ჩვენში ხარებამ,
გული დაცლილი ულხინო რტოა.
უღელში ჯვარცმა მუდამ რად ება,
მკათათვე როა? დედაღვთის როა?!

დედაო ღვთისა, დედა მარიამ,
არა ბღაოდეს შვლის ნუკრი მთაში.
ბულბული მღერდეს ვარდთა არიას,
არ გაუწვიმდეთ ბახალებს გზაში!

15.08.3023 წ.

მტკივა შოვი

რაჭის მთებში ჩაკარგული,
მთის წალკოტი, მტკივა შოვი,
აგვისტოში მერამდენედ,
თავდახრილი გლოვობს ერი.

ტყე რომ გაჩეხეთ, მის ნაცვლად,
რას სთავაზობდით ბუნებას,
შვილებს რა უნდა უამბოთ,
რა ენა მოგიბრუნდებათ?!

ვაჟას სიტყვები გახსოვდეთ,
თუ არ ხარ კაცი მხდალია,
„ტყე შეუნახე შვილებსა,
მამა ხარ, შენი ვალია“!

06.08.2023 წ.

სავრცობითი ნაწილი

თუ მეფობა გინდა,
ადედოფლე ქალი!

(ნერუს)

რაც არ უნდა ქროდეს ქარი,
როგორც გინდა ციოდეს,
ორი გული ერთად რომ ძგერს,
ვერას დაგვაზიანებს.

ტანადა ხარ პაწაწინა,
ვითარცა ფეტვის მარცვალი,
დევი ქისაში გინახავს,
შენა ხარ მისთვის წამალი.

სამკაულებს არ იკეთებ,
განა არა გაქვს, მრავალი,
სამკაულად ხომ მე გყავარ,
მიტომ ხარ ასე თამამი.

07.02.2022 წ.

ᲜᲔᲠᲣᲡ

ენა მწარე ქალბატონო,
ეს რა ტკბილი ყოფილხარ,
შენ გეგონა უარგყოფდი?!
სამუდამოდ მინდიხარ!

შენ რომ ნექტარი დანესტრე,
გამოვწურე თაფლები,
მხოლოდ ერთხელ გამიღიმე,
სამუდამოდ დავთვერი.

მერე სიტყვა დაგადევნე,
აგირიე დავთრები,
გულის კარი გაგიღე და
სამუდამოდ დამნებდი.

2023 წ.

როცა შენი სახე მოგეგებება...

ჩემს სარკმელთან სხვანაირად თენდება,
ვედრებას ჰგავს შენი დილის სალამი,
ღრუბლიან დღეს ჩემს ოთახში მზე დგება,
მუზა ხდები ჩემი საწერკალამის.

ჩემს სარკმელთან უმზეოდაც ნათდება,
როცა შენი სურნელება იფრქვევა.
ჩემი სახლი საყდარს დაემსგავსება,
შენს ბაგედან როცა ტრფობა ითქმევა.

ფიფქი ქროდეს, სხივად დამეხატება,
შენი მზერით მეხატება ხატება,
ედემის ვარდს ალმური მოედება,
ზამთარშიაც იყვავილებს ვარდები.

ჩემს სარკმელთან სხვანაირად თენდება,
ჩემს სარკმელთან სხვანაირად ღამდება,
როცა ტრფობით მითვალთვალებს თვალები,
დათალხულ დღეს სხივად მომელანდები.

2023 წ.

გამოვფხიზლდეთ

ფრთები გავშალე, ცაში ავფრინდი,
მიწას დავხედე, სულ მთლად გავგიჟდი.
ყველა კუთხეში, დენთის სუნია,
ცრემლია, გლოვაა და ტირილია.

სადღაც მდინარემ გადარეულმა,
არც კი დაინდო, წინ რაც აღუდგა.
სადღაც მთა მოწყდა და მთელი მიწა,
სოფელს ზედ თავზე გადაატარა.

არვინ დაინდო, დიდი, პატარა,
მიწის საბანი გადააფარა.
ღმერთო, შეგბედავ და მინდა გკითხო,
ასე სასტიკად ვისჯებით რატომ?

ნუთუ დაგროვდა იმდენი ცოდვა,
ნუთუ ბოროტმა კეთილსა სძლია?
...და თუ ასეა მაშინ კი მართლაც,
მეორედ მოსვლა გარდუვალია.

24.08.2023 წ.

ტირიფი და...

წელსაც გავისეირნე,
იმ მდინარის მახლობლად,
ბავშვობას რომ მახსენებს,
ის ტირიფი სახსოვრად.

ისევ ტოტებგაშლილი,
ისევ თმააწეწილი,
იდგა ჩვენი არწივი,
ყურში შენი ხმა წივის.

მდუმარებით დამიხვდა,
ტირიფის ქვეშ კენჭები,
ხეზე ამოტვიფრული,
სახელების ნაჭდევიც.

მოგონება აშალა,
მხრებზე ჩამოყრდნობილის,
თმები ჩამომეშალა,
სიო წამომეშარა.

რა კარგია სვირი და
რა კარგია ბავშვობა,
დამიბრუნეთ, ვყვირი მე,
ტირიფის ქვეშ ლაღობა!

რა კარგია სვირი და
რა კარგია ის შარა,
დამიბრუნე, ვყვირი მე,
ტირიფის ხევ, მზექალა!

2023 წ.

ჩემს ნერუს

ანათებ დღისით, ანათებ ახლაც,
მე კი შენს აჩრდილს შორიდან ვლანდავ,
ჩემთვის შენ მუდამ სანატრელი ხარ,
როცა წუთითაც ჩემს გვერდზე არ ხარ.

როცა მოვკვდები შენ გულის კლიტეს,
მე სამარეშიც გულით გამატან.
გიჟი არა ვარ, ყველამ გაიგოს,
ასე მინდა, რომ წესი ამიგო.
ასეა

კაკტუსიც ხომ მრავლდება,
მაგრამ ეკლიანია.
ხოდა, თურმე ბუნებამ,
ზუსტად ასე ინება.

ბულბულისთვის ბულბული,
ყვავს კი ყვავი უხდება,
ეკლიანი ეკლიანს,
მაინც ჩაეხუტება.

2023 წ.

ნერუ

შენ რა გიჭირს, ჩემო კარგო,
გვერდით ზიხარ თან
ლექსს ამბობ.

ჯერ შროშაო, ახლა ვანი,
დედა გყავდა ვიცი სვანი.

რომ დაწერო უფრო კარგად,
მახინჯაურს მივადექი.

გინდა პროზა, გინდა ლექსი,
გამოხვიდე ხელოვანი.

22.08.2023 წ.

განა?!

სიყვარული განა ყვავილებია?
სიყვარული ზოგჯერ სულის გვემაა.
სიყვარული განა მარტო ლხენაა?
სიყვარული ჭირში ტკბილი ენაა.
სიყვარული განა მარტო ხვევნაა?
სიყვარული სისხლით სავსე ვენაა.
სიყვარულშიც ხომ მოსულა კამათი?
სიყვარულში არ მოსულა შამათი!

2023 წ.

არჩევანი შენზეა...

ვარდებს სურვილებს ნუ ანდობ,
ვერ აგისრულებს ოცნებებს.
ვარდები ეზოს ამშვენებს,
ცხოვრებას ვერ დაგიმშვენებს.

თავმომწონეა, კეკლუცი,
ეკალსაც ბევრს მოაყოლებს.
სურვილი იებს მიანდე,
ია ცხოვრებას ამშვენებს.

ყინვა გამძლე და ერთგული,
ზამთარსაც გაგიზაფხულებს.
მზის სხივად თუ მოევლინე,
მიწას გახეთქავს, იფეთქებს!

2022 წ.

ბროლიასაც უყვარდა

სიყვარულზე ლექსს წერს ყველა,
დიდია თუ პატარა,
დავიჯერო, ყველა ერთად,
სიყვარულით მთვრალია?

როცა გიყვარს მაშინ ეტრფი,
მის იქეთ უფსკრულია,
ადგები და ლექსად დაწერ,
გულში რაც კი ბინდია.

მთაზე ნისლი ჩამოწვა და
მოიღრუბლა მგონია,
ახლა სეტყვა რომ წამოვა,
ვერ გავასწრებთ ბროლია.

2023 წ.

ნერუს!

მეფე დედოფალს წინ უძღვის,
მისთვის მიაპობს კლდესაო,
არავის დააჩაგვრინებს,
თუგინდ კი მოჰკვდეს დღესაო!

18.09.2023 წ.

შავი მარგალიტი

ბელა ბრილიანტს გიწოდებს,
ეგ სულ არ არის სწორიო.
რომ ყოფილიყავ ალმასი,
ამდენხანს გაგყიდიდიო.

შავ მარგალიტად მიცვნიხარ,
მიტომ ხარ მუდამ გულშიო,
შეუფასებლად გაფასებ,
ჩემთვის მინდიხარ, გეტრფიო.

04.11.23წ.

ภาคผนวก

ქეთევან დედოფალი

(მკურნალი)

მ-ძევალი იყო შაჰისა.
კ-ასრში ნაცხელებ
                    გუდრონით,
უ-შანთეს, შანთეს
რ-ამდენი,
ნ-აწილი წმინდა
                    ტანისა.
ა-ლავერდს ვერ
                    შეურაცხყოფთ,
ლ-ეკნი და
                    ურჯულონია!
ი-ესო უფრო დიდია!
    იყო სიტყვები დედოფლის,
წმინდისა ქეთევანისა!

26.09.23 წ.

ვარდს ამშვენებს ეკალი

სიყვარულმა ფასი მაშინ დაკარგა,
როცა ვარდი ეკლიანი გათავდა.

სიყვარულს რომ უმღეროდნენ მგოსნები,
წყარო იყო მაშინ დაუშრობელი.

აღარც წყარო, აღარც მუზა,
აღარც კიდევ მგოსნები.

ვარდს ეკლები გასცვივდა და
გახმა ტრფობის ტოტები.

2023 წ.

მე ასე ვფიქრობ

ამ ქვეყნად ისე იცხოვრე,
მისვლა არ შეგრცხვეს იმ ქვეყნად,
საგზლად პურ-ღვინო იკმარე,
სანთელი საცხონებელად!

2020 წ.

კურთხეული მიწა

საქართველოს ისტორია დაიწერა ერთ გორაკზე,
სადაც ღმერთი ჩამოჯდა და გვიამბობდა ერთ არაკზე.
გადახედა მინდორ-ველებს, მთა-გორებიც არ დატოვა,
ჩაისუნთქა თბილი ჰავა და წარმოთქვა ესე სიტყვა:

- ეს წალკოტი სამოთხეა, მემეტება ქართველთათვის,
ვინც გაჰყვება ჩემს მცნებებს და იგალობებს ქრისტესათვის.
კურთხეულ არს ესე მიწა, მადლიანი, ხვავიანი,
ეწოდება საქართველო, დაიფარავს მარიამი!

2023 წ.

***

პეტრე-პავლობას
    გილოცავთ,
უფალმა შეგვინდოს,
ცოდვანი,
რომ ვიყოთ მრავლის მომსწრენი,
ნათელი, წმინდანი დღენის.

2023 წ.

„შეუცნობელია გზანი უფლისანი“

ცხოვრებასა ჰგავს არყის გამოხდა,
წვეთ-წვეთ ცრემლებად მოედინება,
ინება ღმერთმა, ცრემლით მოვედით,
ბოლო საგზალიც ცრემლი იქნება.

უფლის გზასა ჰგავს არყის გამოხდა,
ჩვენი ფიალაც წვეთ-წვეთ ივსება,
ცრემლი მლაშეა, არაყი მწარე,
უფლის ხსენებაც არყით იწყება.

P.S.
დილის მადლი შეგვეწიოს!

2023 წ.

დედაო მარიამ!

დედა ღვთისა, წმინდაო მარიამ,
შენს მზიან კალთას ელის საქართველო,
მადლი გვაპკურე ცოდვილთა არმიას,
ნაბოძებ მიწაზე ქართველმა იქართველოს.

ნაკურთხი წყალით მოგვბანე თვალები,
იქნებ ვიხილოთ, რას ვკარგავთ, ვისას?!
ფართოდ გაგვიღე სიმართლის კარები,
მცველად დავუდგები სამოთხის მიწას.

ზოგი წაგვართვეს და ზოგიცა ვყიდეთ,
ალბათ ამისთვის პასუხსაც ვაგებთ.
კვლავ შეგთხოვ, გაგვიღო სამოთხის კარია,
დედაო მარიამ! მზეო მარიამ!

28.08.2023 წ.

ყ ვ ე ლ ა ს !

საიქიოდან მოგმართავთ,
არ დაივიწყოთ ნათქვამი,
ვიცხოვრე, როგორც მინდოდა,
კაცი ვიყავი მართალი!

ილაყბეთ რამდენიც გინდათ,
ჩემზედა ტყვილ-მართალია,
ყველას თავისი მიეზღოს,
საზიდი ცოდვა-ბრალია...

ახლა კი ვწევარ მიწაში,
ჩუმად ვარ, გატრუნულია,
არ შეიმოსოთ ძაძებში,
ვისაც დაგწყვიტეთ გულია.

დაგლოცოთ უნდა სუყველა,
ისე, როგორაც მწყურია.
გულს ნუ გაიტეხთ ნურავინ,
ყველას თავის ხმამ უწია!

2022 წ.

გზა საყდრისაკენ

წუთისოფელს რომ მოვლენილხარ,
ამისთვის უფალს უთხარ მადლობა,
რომ გზა სავალი, შენთვის კუთვნილი,
დიდხანს გატაროს, შორს წაგიყვანოს.

გზაზე შეგხვდება ბევრი წვრილმანი,
ზოგჯერ დაღმართი, ზოგჯერ აღმართი,
გზა დაკლაკნილი, ხან დანგრეული,
იქნებ გვირაბშიც კი გაგატაროს.

არ შეუშინდე ამ დაბრკოლებას,
რაც რომ შენს გზაზე გადაგეყაროს,
მაღლა რომ ახვალ ქვემოთ ჩახედვის,
არ შეგრცხვეს, არც რამ არ შეგაშინოს.

დაბადებიდან სიკვდილის დღემდე,
ყველამ თავისი გზებით ვიარეთ,
თუ გზამ საყდრამდე არ მოგიყვანა,
მაშინ სულ ტყუილად ვიხეტიალეთ.

26.10.23 წ.

არ დანებდე!

მადლობა, ღმერთო, რომ გამაჩინე
და მომავლინე ცოდვილ მიწაზე.
განვვლე ცხოვრება, როგორც მე მსურდა,
დღეს აღარ მინდა ფიქრი ამაზე.

წავიდა ის დრო, აღარცა მოვა,
ასაკმა თავის კვალი დატოვა,
როდესაც ხვდები, რომ შენმა ფარამ,
ზურგი გაქცია და მიგატოვა.

როცა შენს ასაკს სხვები დასცინის,
შენც შეიფერე, მიხვდი დაბერდი,
არასდროს დასთმო თუ ვინ იყავი,
სხვამაც რომ იგრძნოს ვაჟკაცის ფასი.

იყავ ძლიერი, შენ ჩემო ორბავ!
როცა ასაკი თავის გზით ღოღავს,
შენ მხოლოდ შენთვის საზღვარს იღობავ,
შეიფერე და ნუ დაღონდები!

2023 წ.

ბზობა

ბ-აიას ტოტები
მოზიდეთ,
ზ-არები შემოჰკართ,
თენდება!
ო-სანა, იესო გვეწვია,
ბ-ზობაა, მან
ზიდა-საზიდი.
ა-მ კვირას იესო
აღდგება!
ა-ანთეთ სუყველამ
სანთლები!

09.04.2023 წ.

ფერიცვალება

ფ-ერთა გამები შეუცვლია დილას,
ე-მშვიდობება ზაფხულს მთაწმინდა.
რ-ია-რიაა უკვე ფოთლების,
ი-კრიბებიან ჩიტები ნელა.
ც-ის კაბადონზე კრავენ კამარას,
ვ-აზის მტევნები ქარვისფრად ღელავს.
ა-ლიონს ისმის ტაძრად ზარის ხმა,
ლ-ელვიანს სამთა გაცისკროვნდება.
ე-გებებიან ფერიცვალებას,
ბ-უნება, ღმერთი, წელთა განგება.
ა-ლადასტურით თასი ივსება,
ყველას გილოცავთ
ფერიცვალებას!

19.08.2023 წ.

დამილოცნიხართ

შენ უკვე გამომიტირე,
არ დამიტოვე საშველი,
რად დამიმოკლე მე ტირე,
ცრემლი ვერაფერს მიშველის.

სამოთხის კარის არშია,
გულზე მაყარე ვარდები,
სულს მინათებდეს გზაშია,
საკმეველი და სანთელი.

სანამ კარიბჭეს შევაღებ,
დავიმღერ სიტყვას ალალსო,
უფალო, შენ დამილოცე,
ვინც მომაცილა შენს კარსო.

2023 წ.

ჩამავალი მზე

სარკმელთან ვდგავარ, მზე ჩამავალი
მათბობდა, გორას ამოეფარა
და ვეტრფი ქუჩას, შევერცხლილ თმებით,
თვალწინ დამირბის ბავშვი პატარა.

ის ონავარი, ცელქი ბიჭუნა,
მენატრება და ცრემლი მადგება,
ვბერდებით მე და ეს ქუჩა ერთად,
ოცი ათასი დღე მიიწურა.

შენ გთხოვ, უფალო, ყოვლის შემძლეო,
ჩემს თვალს მზის სხივი არ მოანატრო,
თუ რამ შევცოდე ამ ცხოვრებაში,
შენ მომიტევო და მაპატიო.

2023 წ.

აღდგომა

(საფლავებს შორის)

აღდგომა დღეა, ყველას უხარის,
სასაფლაოს გზას შეუდგა ხალხი.
ზოგი ხელჩანთით დამძიმებული,
ზოგიც უბრალოდ, კვერცხით და პასკით.
ზოგის ოციანს წინ უძღვის ცხვარი.

საფლავებს შორის დარბის ჯერ - ბავშვი.
ხელში უჭირავს პატარა „პარკი“,
იქნება ერგოს მცირედი მაინც.
ის უმამობით დაჩაგრულია,
სახლში კი დედა უკვდება ლამის.

ლუკმაპურისთვის საფლავს ესტუმრა,
კვერცხი და პასკა ხომ უხვად არის.
თვისი სიცოცხლე მკვდარს შეადარა
და თან დასძინა, „ცოცხლებში მკვდარი“.

აგერ უეცრად გამოანათა და
მის თვალებში სიცოცხლემ გაჰკრა,
ჭირისუფალმა იხმო ობოლი,
რომ დააპუროს ნორჩი პატარა.

აპურე, ღმერთო, შენთან მოსული
და მოუმართე სუყველას ხელი.
აცხონე, ღმერთო, იმ ხალხის სული,
ვინც მოწყალება გაიღოს წრფელი.

P.S.
ღმერთმა სუყველას შეუნდოს,
ცოდვა და ბრალი,
მის წინაშე ვისაც აქვს ვალი.

ქრისტე აღდგა!
ჭეშმარიტად აღდგა!
ამინ!

16.04.2023 წ.

გილოცავთ ხარებას!

უკვე მოგვადგა კარზეო,
ხარება, გახარებაო.
სარკმელი დიდზე გააღეთ,
მადლი გვაბერტყოს ღმერთმაო!

2023 წ.

შეჩერდით!

ერთხელ ვთქვი და ვიმეორებ,
დენთის სუნი ასდის მორევს,
ვინ ყოფილან მასონები?!
ამ სამყაროს ამფსონები...

შეარყიეს ხალხში რწმენა,
გადაკიდეს ერი ერსა,
ახლა მესმის შენი, ღმერთო,
რა ტანჯვა და ბედი გერგო.

უხილავ მტერს ებრძვი ჯვარით,
მლიქვნელს ძლივსღა არჩევ სანთლით,
ბჟუტავს შორეთს მართალთა ხმა,
მრევლიც შემოგიცოტავდა.

ოქრო-ვერცხლის მომხვეჭელნი,
ბორბალს უკუ აბრუნებენ,
მბრძანებელად მოაქვთ თავი,
მაგრამ შენ ვერ გატყუებენ.

აღარ ჰყოფნით დედამიწა,
ცოდვა-ბრალი მიწასა რეცხს,
ქალამანსაც არ ცვეთავენ,
მთვარეზე იდგამენ „დვარეცს“.

უმცირესობაში დავრჩით,
მე და შენი მიმდევრები,
აღარ ისმის ლოცვა ერის,
აღარ ესმის ხალხს არც ბერის.

მაგრამ ვიცი ბოლოს მაინც,
ყველას ელის საზღაური,
ყველა აგებს პასუხს შენთან,
მლიქვნელიც და „მასონელიც“.

ჩემს სიცოცხლეს დღესვე დავთმობ,
რომ ეშველოს ამ სამყაროს,
ამ მიწაზე ვერ გამეფდნენ,
ვინც ხალხისა მტრობით ხარობს!

14.10.23 წ.

იყოს ნება შენი!

საყდარში შევალ, სანთელს დავანთებ,
შენს სადიდებლად წარმოვთქვამ ლოცვას,
ახალგაზრდობა ანცობად მეცვა,
იქნებ შევცოდე ოდესმე მეც, რა...

ყველა ხატის წინ მუხლზე ვეშვები,
რომ წმინდანებმა შემინდონ ცოდვა,
ცოდვა ყოველი ბინდად ეშვება,
რაც მხარზე მაწევს, როგორც ხის ოდა.

ცოტა თუ ბევრი, ჩემი ნათქვამით,
რაც უნებლიედ ჩამიდენია,
უფლის განგებით გასარჩევია,
თუ ცოდვა იყო, მადლიც მდენია.

თუკი მე ცოდვილს მომცემ უფლებას,
რომ გადავფარო ჩემი ცდუნება,
ხელი შემიწყვე, გვედრი, უფალო,
რომ გავახარო ხალხის გუნება.

2023 წ.

ᲨᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲘ

დედამ სანთელი აანთო,
სარკმელთან დადგა ლამპარი,
უფალმა იქნებ შეგვინდოს,
თუ რამ ცუდი გვაქვს ნაქნარი.

კვერებს აცხობს გაზქურასთან,
თავწაკრული ბებია,
საშობაო სამზადისში,
გული სულ დამელია.

მამა მოდის მარნიდან,
ღვინით სავსე ხელადით,
სუფრა უკვე გაშლილია
და ჩვენც მეტი რა გვინდა.

სუფრის თავში დადგა მამა,
სასმისს ხელი მოკიდა,
ქრისტე იშვა, გიხაროდეთ,
გვეშველება დღეიდან!
ამინ!

2022 წ.

ნათელმირონი

ნათლიღების დღე დგება,
ყველა დარდი ქარწყლდება,
ნათლიები ნათლულებს,
გულში ეამბორება.

ზოგი სულ მთლად ჩვილია,
ზოგიც კიდევ დიდია.
ნათლია და ნათლული
ერთი მყარი ხიდია.

19.01.2022 წ.

მიხეიი

მ ი მ ი ნ ო

პატარა ვარ, მაგრამ მაინც,
გემო ვიცი „პლაჟის“,
ჭრელაჭრულა ბიკინების,
ტარიანის ფასიც!

2023 წ.

მონადირე

ცაში მიმინო ნავარდობს,
არწივს ვერ უდებს ტოლსაო,
ორივე მტაცებელია,
ორივე ეტრფის გნოლსაო.

2023 წ.

დედის დღე

დედას მინდა მოვეფერო,
მე ის უკვე აღარ მყავს,
ყველა დედის ხსოვნა იყოს,
ვისაც იგი აღარ ჰყავს.

2023 წ.

მუზას

რად დამაფეთე საარზე,
თუ შუა გზაზე მტოვებდი,
რად მიღალატე თაბახზე,
მე ხომ მოსვლას არ გვედროდი.

2023 წ.

ხურდა, რომელიც არ ხურდავდება!

კაპიკიანს ფეხს ნუ ადგამ,
მასაც თავისი ფასი აქვს.
მედიდურად დააბიჯებ,
კაპიკად არა ვარგიხარ!

2020 წ.

ქალი უნდა იყოს...

ქალს ქალობა მაშინ შვენის,
როცა ნაზი, სათუთია.
განა მაშინ?!
როცა იგი,
კობრას ტყავში ჩაცმულია!

2020 წ.

არასოდეს თქვა არასოდეს

როცა ვთქვი, რომ აღარ დავწერ,
მუზა გამინაწყენდა.
რაც კი თავში აზრი მომდის,
ყველა გამიცამტვერდა.

2023 წ.

მე მესაჭე, შენ მგზავრი

ხელში თუ საჭე გიჭირავს,
უკან მოგყვება „პრიცეპი“,
სიჩქარეს არ მოუმატო
და არ არიო შენ ტემპი!

2020 წ.

ბარბაროზას

ამ ბარბარობა დღესაო,
გილოცავთ ერს და ბერსაო,
იხარეთ, იბედნიერეთ,
ან და მრავალსა წელსაო!

17.12.2021 წ.

იუმორესკა

სიზმარში ვნახე სტალინი,
თითქოს მაძლევდა რჩევას.
„ვაი“, ქართველებს რა ვუყოთ?
„რასტრილიატ“ უკლებლივ ყველა!

2023 წ.

კალენდარზე დაეწერა 2020

პანდემიამ შეგვიტია ყველას ერთად
და იმატა ოჯახებში ცრემლის დენამ.
დიდ-პატარას აღარ ინდობს,
იმ ღამურის დედა მ.....ნ,
საქართველოც არ დაინდო!

2020 წ.

***

ჭური მოდიდან გავიდა,
ღვინო ბოცებში ჩავიდა,
ტიკი ხომ საერთოდ გაქრა,
გუდასტვირი სადღაა?!
ამიტომ არის ნათქვამი,
„რაც გინახავს ვეღარ ნახავ“.

2023 წ.

***

სანთელი იწვის, თან ილვენთება,
არცა ბოლავს და არც იფერფლება.

***

მტრედი ღუღუნებს, არწივი წკავის,
შეყვარებულმა დამტოვოს ლამის.

***

ხან ღვინოს ვსვამ, ხან არაყს,
გულს ვუამებ სევდის ვარაყს.

***

მე არ მინდა თქვენი ხოტბა,
მე არ მინდა თქვენი ტაში,
მე დუქანი მირჩევნია,
თქვენთან ერთად ღვინის სმაში.

2023 წ.

მიძღვნიერები

მჯობნის-მჯობნი

ნინა ბებიას ხსოვნას

ამ ბარბარობა მწუხრის ჟამს,
ბავშვობის სკივრი გავხსენი,
თვალწინ დარბიან კადრები,
ნინა ბებიას ლანდები.

პირველი მიწა-ბოგირას,
დაბა-კულაშში გაზრდილი,
ლეჟავას ქალი-ასული,
ღვთის კანონებით აღზრდილი.

მჯობნის-მჯობნს* გვათამაშებდა,
ჩემი ბავშვობის ეზოში.
დები კარისკენ გარბოდნენ,
მე სარკმელიდან ვძვრებოდი.

აღარც წესი და ადათი,
აღარც ბებიას კვერები,
ბავშვობის მოგონებებში,
ჩემს ბებოს ვეფერებოდი.

P.S.

მჯობნის-მჯობნი* - თამაში ბარბარობა დღეს. ჩოგანზე დადებული ლობიანით წრე უნდა დაგერტყა სახლისთვის და ისე შესულიყავი სახლში, ლობიანი არ გადმოგვარდნოდა. ვინც პირველი შევიდოდა მეკვლედ ითვლებოდა და გამარჯვებული მომავალი წელი ექნებოდა.

17.12.2021 წ.

დედას

შვილებს გვიცავდი, როგორც აფთარი,
გვარად კი ფოცხვერია ხარ.
მარტის ცხრამეტში დაგვტოვა დედამ,
პირველ იანვარს დაბადებულმა.

ათი წელია გულს მაწევს სევდა,
ჩვენ აღარ ვხვდებით
ახალ წელს ერთად,
საფლავის ქვიდან შენ და მამა,
მდუმარებით მადევნებთ თვალყურს.

ნეტავი ვიყო ისევ პატარა,
შენ ისევ ქოჩორს გამიჩეჩავდე,
ჩამოვჯდებოდეთ კარების ზღურბლზე
და ძველებურად ლეღვს მივირთმევდეთ...

უკვე მეათედ მიწევს უშენოდ,
დაბადების დღის მოლოცვა შენთვის,
ვეღარ გისურვებ დღეგრძელობას და...
თვალებწყლიანი შენს ხსოვნას ვამბობ.

01.01.2021 წ.

ბაბუას

(ვარდენა კაკაურიძეს)

ზესტაფონის ერთ სოფელში,
პირველ სვირად წოდებულში,
კორნაპას სერის კიდეში,
კაცი ცხოვრობდა ცნობილი.

ვარდენა კაკაურიძე,
მეღვინეობით განთქმული,
გააკულაკა მთავრობამ,
ვაზი გაუხდა ძმობილი.

ღვინობისთვე რომ დგებოდა,
ჭრიალებდა საწნახელი,
ფეხშველი მაჭყლეტინებდა,
კარგად მეგრძნო საჭყლეტელი.

ამას ვყვები და ახლაც მწვავს,
ფეხისგულებზე წიბწიბო,
ამტკივდა მოგონებები,
ბაბუას იწილ-ბიწილო.

აღარც ვაზი და მარანი,
აღარც კორნაპას ქოხები,
მეწყერმა თან ჩაიყოლა,
ბაბუაჩემის ჭურები.

სულში ტკივილის ზარები,
გულს გაჩენია ბზარები,
ბაბუის ხსოვნის საყოფად,
ორშიმოს დავეწაფები.

2023 წ.

ᲩᲔᲛᲡ ᲞᲐᲠᲛᲔᲜᲘᲩᲡ!

(აკაკი ჟორდანიას)

ბავშვობა რომ დავამთავრეთ,
სტუდენტობის დადგა ჟამი,
დიდობაში გაგიცანი,
ძმასავით მყავს შენი თავი.

წლებმა ბევრი რამ გვასწავლა,
თან დაგვატყო თავის კვალი,
კარგიც ბევრი გვინახავს და
ტკივილსაც ვერ გავექეცით...

შენ ყოველთვის, ჩემო კაკო,
ჩემთვის ბევრი გიწვალია,
ის დღეები კარგად მახსოვს,
ჩემთვის ღამეც გიტეხია.

ასაკში ვართ, ჩემო კარგო,
და ვბერდებით ნელა-ნელა,
შენს სიკეთეს მამა ღმერთი,
დაგიბრუნებს ყველას ერთად!

15.02.2022 წ.

დარიგება

ნიკა კაკაურიძეს

ნიკა, ბაბუ, დაიხსომე,
ჩემგან სიტყვა ნათქვამი,
სწავლის ფასი ცხოვრებაში,
არაფერი არ არის.

სკოლას მორჩი, მასთან ერთად,
ბავშვობაც მიიწურა
და ცხოვრების ასპარეზზე,
გამოდიხარ ჯიქურად.

არ იფიქრო, სკოლას მორჩი,
ამით სწავლა შეწყდება,
თუ ისწავლი, ცხოვრებაში,
მუდამ წინსვლა გექნება.

ასე იყო, ასე არის
და სულ ასე იქნება,
უფრო გრძელი გზა მოგელის,
ცხოვრება ახლა იწყება.

2023 წ.

Ს. Ე. Ჰ. Ა

საბა კაკაურიძეს

- საბა ელდარის ძე კაკაურიძე,
კაცური კაცი დაბადებიდან,
ბაბუს დაუდო ტუზი კაროლზე
და ააცალა დღე თვის უბიდან.

- ხოდა, ბაბუ, მასახელე,
არასოდეს წაგცდეს თვალი,
იმყოფინე, რაც გექნება,
არ დაიდო არვის ვალი!

შენი მოსახელის დღეა,
ჩემი ქვეყნად მოვლინება,
მარჯვნივ ბარბარე გიფარავს,
მარცხნივ ნიკოლოზის ნება!

რამდენჯერაც წაბორძიკდე,
არ დაკარგო მაინც თმენა,
ყველაფერს აქვს ბოლო კიდევ,
მარადია უფლის რწმენა!

24.02.2022 წ.

ენეას ბაბუსგან

პატარა გოგო ენეა,
დედის და მამის მშვენებავ,
ბაბუას გულის წამალო,
შენ შემოგევლოს სამყარო.

ცხრა წლის გამხდარხარ ჰელენი,
თუმცა მოგნათლეს ელენედ,
გზას ორი ნაგაზი გიკვლევს,
ერთურთ გიყვარდეთ სამივეს!

2023 წ.

ჩემს ედოს

ოთხმოცდაოთხში რომ გაჩნდი, არ მინახიხარ საბანში,
ყელზე მარწუხი მიჭერდა, თოფი დავცალე ზე-ბარში.
ახლა ძალიან დიდი ხარ, შენ გაიხარე ბადიშით,
არავის არ დაემონო, არ წაიჩოქო მტრის შიშით.

27.07.2023 წ.

ᲜᲐᲛᲒᲐᲚᲘ

(მეგის)

სანამ ვიხილავ ცას ნათელს,
შვილები ჩემი ქნარია.
შვილიშვილებმა მომნათლეს,
ბაბუ ვარ დიდი ხანია.

შენთვის კი, ჩემო კეთილო,
მოგონება ვარ, სიზმარი,
განა ბევრ რამეს ვითხოვდი,
არ ვყოფილიყავ სტუმარი.

და-ძმა ყოველთვის შენია,
ქმარ-შვილი შენი ოჯახი,
ძუ მგელი თვის ტომს დაგლიჯავს,
თავისი ბოკვერისათვის.

ორმოცი წელი გასულა,
ფურცელმა გვამცნო ამბავი,
კარგად დავფიქრდეთ ორივე,
სად გამოვუსვით ნამგალი.

2023 წ.

თემურ ჩალაბაშვილს

მადლიანი კაცი გქვია,
ამაგი გაქვს ძალზედ ბევრი,
ხალხი სიკვდილს გამოგლიჯე,
დაუბრუნე ერს შვილები.

სიკვდილისთვის გამეტებულს,
ნათელი ჰფენ, შველა მიეც,
გარდაცვლილთა სულიც გახსოვს,
მირონი არ დაივიწყე.

საქართველოს ყველა კუთხე,
გულში გიკრავს, როგორც მგოსანს,
უბატონო ქვეყნიდან ხარ,
შენ, ქიზიყის სიამაყევ!

20.01.2023 წ.

მომავალ მგოსნებს

მოგმართავთ დამწყებ პოეტებს,
ყველანი ძალზე კარგნი ხართ,
კრიტიკამ არ შეგაშინოთ,
თქვენ ჯერ პატარა ბარტყნი ხართ.

არ გადაყაროთ კალმები,
დრო გავა, დაფრთიანდებით,
ვერას დაგაკლებთ ცენზურა,
მუზას ეწაფეთ, ვით სურას.

ხალხმა თუ გულით მიგიღოთ,
თქვენი დიდებაც ეგ არის,
ზეცაში გაილაჟვარდებთ,
თქვენც დაგერქმევათ მგოსნები...

P.S.
ნახევრად მშიერი იყო,
დღეს ზენიტშია გალაკტიონი.

2023 წ.

ბაღათერ არაბულს

მთის კალთები გიმღეროდა ნანას,
სამშობლოსთვის ლექსი გეცვა აბჯრად,
მეგობრისთვის ხარ ჯაჭვისა ხიდი(ა),
ჯაჭვი ფეხზე არასოდეს გკიდია.

ხოტბას ასხამ: გლეხს, მგელსა და მთა-ველს,
სტროფსა შენსას სიბრძნე ახლავს ყოველს,
- მონურ სიტყვას უუფლებო ჭურის,
შენ არჩიე უფლებები მგლური.

05.10.23 წ.

გაფრთხილება!

ოცი წლის მერე შევიტყვე,
ლექსებს რომ წერდი მალულად.
სურპრიზს მიწყობდი ეტყობა
და ისიც არ დამალულა.

წარმატებული ქალი ხარ,
უკვე გამხდარხარ მგოსანი.
ქალავ, მე ჩემთვის მინდიხარ
და არა სამყაროსათვის!

04.11.2020 წ.

ჩემს გოჭს

ამ ბარბარობა დღესაო,
რიჟრაჟი ადგას სხვენსაო,
დაბადების დღეს გილოცავ,
გულით გიბევრებ წლებსაო,
იხარე, იბედნიერე,
სიყვარულს გიძღვნი ბევრსაო.

17.12.2022 წ.

მიშა ფოცხვერიას

შენ სახეზე ღიმილს ვხედავ,
გიციმციმებს ორთავ თვალი.
მაგ სიხარულს ვინც ვერ იგრძნობს,
ყრუც არის და ბრუციანიც.

23.08.2023 წ.

სიზმარი

წუხელ სიზმარი მეზმანა ავი,
იქნებ არც ისე ძალიან ცუდი.
თითქოსდა გველეშაპს თავს ვჭრიდი,
ტყავზე ალესილ ორპირა ცულით.

მიჭირდა ძლიერ, უჭირდა მასაც
და მის თვალებში წარკვეთას ვგრძნობდი.
უკვირდა თითქოს, რატომ, რას მერჩი?
ეს სიზმარია, სხვას შენ რას ერჩი?

2021 წ.

დაფიქრდი

მინდა, ყველას მოგეფეროთ
და მგოსნები გიწოდოთ.
ღვარძლიანნი ნუ იქნებით,
ღმერთმა იქნებ, შეგინდოთ.

მას მიენდე, ვინც შენ გაქებს,
ოღონდ კარგად დაფიქრდი,
იმ ტოტს ნუ ჭრი შენი ხელით,
რომელზედაც დაფუძნდი.

ამნაირი პოეტისგან,
სიტყვა მოსაწონია?!
ვის სიტყვაშიც, ღვარძლი უფრო,
სიკეთეზე მეტია.

2023 წ.

ახალ წელს!

ახალი წელი დამდგარა,
კალენდარზე შეიცვალა ციფრები,
უფალო, შენ აუხდინე,
ყველა დაბაკრულს ფიქრები!

ზოგს პური უჭირს,
ზოგს „პორშე“,
ზოგსაც მთაში აგარაკი,
ზოგმა აიღო კრედიტი,
რომ გაისტუმროს ვალები.

P.S.
ახალო წელო,
წელო მაგარო,
შენ დაიფარე
მთელი სამყარო!

01.01.2022 წ.

იყო დრო

დამრიგებლად დედა მყავდა,
მისაბაძად ბებია,
სკოლაში დამრიგებელი,
რობაქიძე თამარა.

გზას მიკვალავდნენ ვედრებით,
როცა პატარა ვიყავი,
ახლა უკვე ვბერდები და
ჩემს ჭკვაზე დავიარები.

2020 წ.

„მომავალი თქვენია“

გაბრიელ გეწაძეს

ჩემს ხმას, ლექსებს და სტრიქონებს,
თაობა უკვე იყვარებს.
მკითხველი კიდევ გამიჩნდა,
თავად გაბრიელ გეწაძე.

მადლობელი ვარ მშობლების,
ბავშვებს რომ ლექსებს აყვარებთ,
პოეზიის მოტრფიალე,
სამშობლოს არ უღალატებს!

2023 წ.

„მომავალი თქვენია“

უსტიაშვილ ზვიადის

თაობამ უკვე გამიცნო,
დარდი არა მაქვს ხმიადის,
მესამე მკითხველი გამიჩნდა,
უსტიაშვილი ზვიადი.

პაპის სახელზე იზრდები,
ღმერთმა დღე მოგცეს მზიანი,
მშობლები დიდხანს გიმყოფოს,
დედმამიშვილი მრავალნი.

„სიცოცხლის დიდო საწყისო“,
გოგლას კუთხეში იზრდები,
კოჭებიდანვე გეტყობა,
წიგნის ერთგული იქნები.

2023 წ.

ო, ღმერთო ჩემო!

Aman Allahim!

დიდი ტკივილი დააწვა თურქეთს,
მიწა იძრა და ხალხი შთანთქა.
ცოდვის ჟამი დგას, ღმერთო, რას შვები?
უმწეოდ დარჩნენ ჩვილი ბავშვები.

შენობები და ავლადიდება,
არც ღირს სათქმელად ამხელა მსხვერპლთან.
შენ დაიფარე, ღმერთო, სამყარო,
ქვესკნელში ყოფნა იქნებ გვაკმარო.

ცოდვა როდესაც მადლზე მეტია,
მაშინღა გიხმობს ხალხი საშველად.
უფალი ხომ ყველასთვის ერთია,
ვისთვის ალაჰი, ვისთვის ღმერთია!

09.02.2023 წ.

„მომავალი თქვენია“

მაშო თვარაძეს

პატარას წიგნი უხდება,
რომ გაანათლოს ერი.
ზეგანათლებულ თაობას,
სამშობლო მუდამ ელის.

დღეს ჩვენ ვწერთ, ხვალე ისინი,
დაგვიდგებიან გვერდში.
ჩვენც ხომ მათსავით ვიყავით
და შევიყვარეთ ლექსი.

ჩვენი უფროსი თაობა,
რომელსაც ასე ვეტრფით,
მიტომ იბრძოდნენ კალმებით,
სამშობლოს ვედგეთ გვერდით!

გაგვეგო და გაგვერჩია,
მოკეთეა თუ მტერი,
წიგნში დაწერილ სიმართლეს,
თაობა მუდამ ელის.

2023 წ.

თერგი

ლექსის წერა თუ ჰობია,
მთაში ახვიდე ჯობია,
ბარში ნაწვალებ სტრიქონებს,
მთაში ნათქვამი სჯობია.

ამ ჩანჩქერს როცა გავყურებ,
როგორ არ დავწერ ლექსსაო,
ნიჩბები მაგრად მოუსვით,
ჯომარდობაა დღესაო.

თერგის წყალს შეჭიდებიან,
ფოსტის ლომგულა ბიჭები,
სულ გამარჯვებით იარეთ,
ცამდე გაშალეთ ბეჭები!

იქნებ ოდესმე დავტოვო,
ქალაქის მტვერი, პეშვები,
აქ დავსახლდებით ხევის პირს,
მე, მუზა, ჩემი ფესვები.

16.07.2023 წ.

პატარა მეგობარს

მარიამ ოთინაშვილი

მე მყავს კარგი მეგობარი,
ერთი ციცქნა მარიამი,
როცა ვხვდები მწერალთაში,
სიყვარულით ხარობს გული.

ლექსებს ამბობს, მღერის კიდეც,
დედის გვერდზე დაფარფატებს,
იმზეგრძელე, მარიამო,
კიდევ დიდხანს გამახარე!

21.09.2023 წ.

მეგობრებს

ახალგაზრდობა მალე გაფრინდა,
მიმოვიფანტეთ, ვით ნისლი მთაზე,
ბევრმა თვალიდან ცრემლი მადინა,
ცოტა შემომრჩით ცხოვრების გზაზე.

2020 წ.

გავა დრო...

დრო გავა დავიფანტებით,
ერთურთს ვერ ვნახავთ ხშირადა.
ჩემი ნათქვამი სიტყვები,
გულში დაგრჩებათ ტკბილადა.

გაგახსენდებათ წარსული,
დღეს ღამე სცვლიდა ხშირადა.
ერთურთის გვერდზე ვიდექით,
როგორც შეგვეძლო, ჩირაღდნად.

იქნება ვინმეს როდისმე,
რაღაც კი უთქვამს ძვირადა.
გულში ნურაფერს ჩაიდებთ,
ქარს გაატანეთ ჩირადა.

P.S.
ყველას სიკეთეს გისურვებთ,
ამ ჩემი წრფელი გულითა.
ყოველდღე თუ ვერ შევხვდებით,
მაინც მიყვარხართ სულითა.

2022 წ.

ბოლო ზარი

მერცხალმა ბარტყნი დაჩეკა,
ასწავლა ფრენა ცაშია,
შორ გზაზე უნდა გაფრინდნენ,
მსოფლიო არეალშია.

გახსოვდეთ, ჩემო კარგებო,
შორ გზაზე ფრენა ძნელია.
ბევრი სირთულე შეგხვდებათ,
რომ დაიმკვიდროთ თავია.

ჭექა-ქუხილი, ავდარი,
თან ახლავს ხშირად გზას შორეს,
ნუ დაივიწყებთ იმ ბუდეს,
სადაც დაგზარდეს და გშობეს.

2023 წ.

გარინჩა

ყველა რატომ პელეს აქებს,
სად წავიდა გარინჩა?
ფინტი კარგი ჩაუტარეს,
ციხეშიც კი აღმოჩნდა.

პელე მეფედ აღიარეს,
ყავას პელე დაარქვეს,
მაგრამ ნაღდი ფეხბურთელი,
ფრანცისკოა გარინჩა.

ვინმემ იცის თუ ვინ იყო,
კოჭლი ძია გარინჩა,
თაობები მის სახელს რომ
დღემდე ჩიტად აღიქვამს.

20.09.2023 წ.

ანზორ ცერცვაძეს

ჩემი ძამია ანზორი,
შტოდ იმერელი კაცია,
რომ გაიზარდა გორშია,
განა თავისი ბრალია.

ბავშვობა თიანეთს აჩუქა,
დიდობა ჯარს შეალია.
გორი ტანკშიაც ახსოვდა,
არ გაუცვლია სხვაშია.

სადარაჯოზე დღესაც დგას,
იცავს სამშობლოს ღირსებას.
გორიჯვრის ძალა ჰფარავდეს,
შენს ოჯახს, შთამომავლობას!

2023 წ.

ᲕᲐᲮᲝ ᲜᲝᲖᲐᲫᲔᲡ

ბატონი ვახო ნოზაძე,
მაიორი კაცია,
გულალალი, ჯიგარი,
დედით კი ლომიძეა.

ქეიფი მას არ ეშლება
და გვერდზე დგომა სმაში.
მალე ბაბუაც გახდება,
მაინც კი სტილნობს კაცი.

ცოტა კი უყვარს ჯაჯღანი,
ასე თხოულობს მავანი,
დანარჩენში ნაღდია,
ულალატო კაცია.

2023 წ.

ფანქველაშვილ კობას

შეხედავ და ოქროსა ჰგავს,
გულით არის ბავჯაღლო.
იცოცხლე და გაიხარე,
ჩემო კობავ, ალალო.
რაც ამდენხანს გულს გიწვავდა,
უფალს ვთხოვ, რომ გაკმაროს.
შენს ოჯახში ბედნიერად,
დრო მუდამ რომ ატარო.

2023 წ.

დავით დამბურაჯელს

დამბურაჯელი დავითი,
ძალზედა კარგი კაცია.
წყნარი, დინჯი და კეთილი,
ძმობაში გამობრძმედილი.

უღალატო და ერთგული,
როგორც მთის კალთებს სჩვევია.
წყაროს წყალივით კამკამავ,
არ გაგჩენოდეს მტერია.

2023 წ.

ამირან ხახნელიძეს

ხახნელიძე ამირანი,
ერთი უბრალო კაცია.
კაცისგან მე ვერ გავიგე,
ამირანს ჩირქი აცხია.

ქართული ადათ-წესები,
სულ დედა ენად აქცია.
თბილისს ყოველთვის ამშვენებს,
შენი კაცობა, ძამია.

თან ბაბუობას არ იტყობს,
შეხეთ, რავარი კაცია!

24.08.2023 წ.

ვაჟა ჭიჭივეიშვილის ხსოვნას

შენ დაიბადე მზიან ქალაქში,
სათნო ოჯახის გარემოცვაში,
თბილისის მიწამ გულში ჩაგიკრა,
როგორც მორწმუნე თვით მამაღმერთის.

მე გული მწყდება, ჩემო ვაჟიკო,
აღარა მყავხარ, როგორც მესაჭე,
ჩვენი მოტოდან მალე ჩახვედი
და მიმატოვე ცარიელ გზაზე.

ნათელში იყავ, ძმაო, ვაჟიკო,
მიწამ სიმძიმით არ შეგაწუხოს,
საიქიოდან ლოცე ოჯახი,
უშენოდ... მაინც გაიყვავილოს.

28.12.2022 წ.
00:01 წთ.

ხათუნა ცომაიას

მოგესალმები, ხათო დაია,
წარმატებები ულევი.
მე და შენ ვართ კაკაცია,
ვწიოთ და-ძმური უღელი.
მადლობას გიხდის მიმინო!
ოღონდაც არ გააფრინო!

2023 წ.

ისმინეთ

პანდემია არ გამქრალა,
აქვეა და სადღაც სძინავს.
პირბადეს ნუ მოიცილებთ,
დაიცავით დისტანცია!

2021 წ.

ᲨᲔᲜ!

ექსპრომტი

მთაზე ასულხარ გგონია, სხვა კი ფეხებზე გკიდია,
ვინა ხარ, ნეტავ ვიცოდე, სათქმელ მაქვს დიდზე დიდია,
ვისი გორისა ბრძანდები, მე სულ ფეხებზე მკიდია,
საბძელში კი იმალები, თავი საფრანგეთს გგონია.
საჭმლის ფული არ გქონია, ლანძღვით იკვებავ თავსაო,
„ჩემი სამშობლო“ ჰქვია და შენ კი უწოდებ ხლამსაო,
თავადა ძღები საძღომით*, ეგებ შეგერგოს ჯანსაო,
საქართველოდან იცოდე, გაგინებთ, ცოცხალმკვდარსაო.

31.07.2023 წ.

რეჟიმის ბიჭებს

იუმორესკა

თავზე გახურავთ სკაფანდრა,
ტანზე გაცვიათ „ჟილეტი“,
ხელში ნიჩბები გიჭირავთ,
ნავით თერგის წყალს მიჰყვებით.

არ შემარცხვინოთ, ბიჭებო,
ჯილდოდ ცვრიან მწვადს გპირდებით,
ყანწები უნდა დავცალო,
თქვენი ქებით და დიდებით.

16.07.2023 წ.

რეჟიმის ბიჭებს

იუმორესკა

თავზე გახურავთ სკაფანდრა,
ტანზე გაცვიათ „ჟილეტი“,
ხელში ნიჩბები გიჭირავთ,
ნავით თერგის წყალს მიჰყვებით.

არ შემარცხვინოთ, ბიჭებო,
ჯილდოდ ცვრიან მწვადს გპირდებით,
ყანწები უნდა დავცალო,
თქვენი ქებით და დიდებით.

16.07.2023 წ.

სამადლობელი

(სპონსორს)

სიკეთის მთესველ კაცსაო,
მადლი ეფინოს გზასაო,
შენ დაიფარე, უფალო,
ჯანი მიეცი მასაო.

იქნებ და სხვამაც ისმინოს,
მადლის მოფენის ფასია,
ამდენი მადლიერისგან,
დალოცვილი ხარ კაცია.

სიკეთე არ იკარგება,
მუდამ დარჩება ხალხშია,
ყველას სახელით მადლობა,
სამშობლო ერთადერთია!

2023 წ.

ჯომარდში...

დღეს ჯომარდში შეჯიბრია,
ფოსტა გვიწყობს ჩვენ გამოცდას,
მუშაობით გადაღლილებს,
გართობითაც გვანებივრებს.

თერგის წყალი უხვი არის,
თან სწრაფი და შაში,
ვინ გახდება თასის ღირსი,
ვინ გაივლის თერგს წინსვლით.

ჩვენი ლოგო მტრედი არის,
თავმომწონე, სასახელო,
მთავარია ფოსტის ხალხმა,
რომელიმემ გვასახელოს.

2023 წ.

მეგობრების შაირები

გიორგი ქოქოშვილი

ვალიკო, უკვე დაბერდი,
შენ ალარ გინდა სექსიო,
ისეთი ღამე არ გავა,
რომ არ დაწერო ლექსიო.

ვალიკო კაკაურიძე

ქალი მე გვერდით არა მყავს,
რომ მამდომოდა სექსიო,
ხელში კალამი ავიღე,
დავჯექ დავწერე ლექსიო.
შენც ლექსის წერა დაიწყე,
შენც ხომ არ დამიბერდიო?
შენს თავსა ჰკითხე, ძმობილო,
სექსი გინდა თუ კექსიო?!

გიორგი ქოქოშვილი

ვალიკო, წმინდანი ხდები,
თუ დაივიწყე სექსიო,
ჩვენთან მობრძანდი მწვადებზე,
იქაც გვითხარი ლექსიო.

ვალიკო კაკაურიძე

წმინდანობისა რა გითხრა,
მწვადი კი მიყვარს, ძმობილო.
შენს გულში გადამახედა,
მწვადი გიყვარს თუ ლობიო?!

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲥᲝᲥᲝᲨᲕᲘᲚᲘ

სამოც წელს როცა გადახვალ,
მე მგონი, უფრო კექსიო!

ᲐᲜᲖᲝᲠ ᲪᲔᲠᲪᲕᲐᲫᲔ
ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲫᲛᲔᲑᲡ

რად არ ისვენებთ, ბეჩავნო,
ნეტავ რად აცდენთ კალამსა,
ორივემ, მწყერის ჩოჩორნო,
გაინავარდეთ ყანასა!
 თუ გინდათ ხეზე შეჯდომა,
უნდა გქონდეთ დიდი ფრთები,
ტრაკში კუილს ვერ იკავებთ,
აღარ შეგრჩათ არსად თმები.
 ვერ იყენებთ სწორად ფურცელს,
დაუკარგეთ სულ მთლად ფასი,
ბევრი სისულელის წერას,
სჯობს გეჭიროთ ღვინის თასი.
 ასე უფრო დაფასდებით,
მოგიგონებენ ტკბილადა,
ორივეს გემუდარებით,
ნუ ყალიბდებით გიჟადა.

ვალიკო კაკაურიძე
ანზორას
შენც ჩვენი მოდგმის ყოფილხარ,
ანზორი, ჩემო ძმობილო,
მგონი ორივეს გვაჯობე,
ძმობაში გამობრძმედილო.

2023 წ.
125
ეს ჩემი გულის ნადები,
ფურცელზე გადმოვიტანე,
ვისაც არ მოგეწონებათ,
მკითხველად არც მე გინატრებთ!

13.09.2023 წ.
ვალიკო კაკაურიძე

Astsbspo

თაობიდან თაობას

ნიკას

ცხოვრების ახალ ეტაპზე გადადიხარ, ბაბუ.

ისე იცხოვრე, სირცხვილი არ ჭამო.

შენი ნათქვამი სიტყვისთვის გაწითლება არ მოგიწიოს.

თავი არ შეირცხვინო, გვარი და ოჯახი არ შეარცხვინო.

მეგობრებს ყოველთვის უნდა უყვარდე შენი ადამიანობით, სიკეთით და უბრალოებით.

ოქრო-ვერცხლმა არ დაგჯაბნოს, უკადრებელი არ გაკადრებინოს. ქალებში თავი ყოველთვის მოწიწებით დაიკავე, ზრდილობას და სინდისს ბნელშიაც დიდი ფასი აქვს, ცხოვრების გზაზე.

წმინდა ნიკოლოზის მოსახელე ხარ და თუ ნამუსიდან ხელს არ აიღებ, არც შენი მფარველი ანგელოზი აიღებს შენი თავიდან თავის ხელს.

ნიკოლოზ, ბაბუ, შენ, შენი ძმის საბას და დაიკო ელენესთვის, მაგალითი უნდა იყო და ქომაგი.

არ დაგავიწყდეს, ბაბუ, ჩვენს გვარში ბაბუებიდან მოდის ასეთი დარიგება და ჩვენც ვაგრძელებთ.

შენი ცხოვრება ისე წარმართე, რომ მერე არ ინანო.

ცხოვრების გზაზე ბევრჯერ შეგხვდება დაბრკოლება, არ შეშინდე, არ დაუჩოქო, გაუმკლავდი თავსაც და დაბრკოლებასაც.

ბაბუ, შენ როცა მოგიწევს ასეთივე შინაარსით მიმართო შენს შვილიშვილს, მაშინ იგრძნობ ყველაფერს, აქ რაც წერია.

მიმინო

2023 წ.

ზღაპარი

დარიგება

მაღალმთიან სოფელში ცხოვრობდა ბებია და შვილიშვილი.

დედა მშობიარობას გადაჰყვა, მამაც დარდისგან მალევე გარდაიცვალა. ზრდიდა შვილის მოსახელე ბიჭს ბებია და იზრდებოდა ბიჭიც ბებიის საიმედოდ.

ნაადრევად დაიწყო ბიჭმა ოჯახის რჩენაზე ზრუნვა.

ხან სანადიროდ დადიოდა და ხან სათევზაოდ.

ირჩენდა თავსაც და არჩენდა ბებიასაც. ასე მისდევდა დღე დღეს და წელი წელს.

დავაჟკაცდა ბიჭი.

ერთ დღესაც თევზაობისას, მდინარეში ბრჭყვიალა ქვები შენიშნა, შეაგროვა და აბგაში ჩააწყო.

წამოიღო სახლში. ბებიას აჩვენა.

- ეს ოქროს ქვებია. ბები, წაიღე და მდინარეს დაუბრუნე. რაც ბრჭყვინავს, სიკეთეს არ მოგიტანს.

სინამდვილეში ბებიას არ უნდოდა ბიჭი მუქთა ცხოვრებას შეჩვეოდა.

გადიოდა დრო, ძლიერ მოხუცდა ბებიაც, ოქროს ქვებზე სიტყვა არცერთს არ დასცდენია, ისევ ნადირობით და თევზაობით ირჩენდა ბიჭი თავს და არჩენდა ბებიასაც.

ზაფხულის ცხელი დღე იყო. დაიძინა და მზის ამოსვლას ველარ შეხვდა ბებია.

ბევრი იგლოვა ბიჭმა, მაგრამ მარტომ ამ მიყრუებულ სოფელში ველარ გაძლო და ქალაქში წასვლა გადაწყვიტა.

გაახსენდა ოქროს ქვები და ერთ საღამოს მდინარეს ესტუმრა.

ბევრი ეძება, მაგრამ ოქროს ქვებს ვერ მიაგნო. იქვე ქვებზე წამოწვა და მიეძინა. დილით მზის ამოსვლამ გააღვიძა. მზის სხივები მდინარეშიც ჩავარდნილიყვნენ და ოქროს ქვებიც ბრჭყვიალებდნენ. ბიჭმა დასკვნა გამოიტანა, მარტო დღისით ჩანან ეტყობაო.

დაინტერესდა, რა მაგიური ქვები იყო ასეთი, ბებიამაც რომ არ გაუმხილა ბოლომდე, შეაგროვა რაც შეძლო, ჩაილაგა აბგაში, წამოვიდა სახლში. მეორე დღეს, როგორც კი ინათა, ჩაიცვა, აბგაში ერთი კვირის საგზალიც ჩაილაგა და გაუდგა ქალაქის გზას.

პირველ რიგში ბაზარს მიაკითხა. დაბნეული დადიოდა ბიჭი, პირველად იყო ქალაქში და არც ბაზარში არ იცოდა ვისთვის მიემართა, ვისთვის ეჩვენებინა ქვები. ამ ფიქრებში იყო გართული, ვიღაცამ მხარი გაჰკრა ძლიერად, მოიხედა და ულამაზესი ქალბატონი დაინახა, მოუბოდიშა და გზა განაგრძო, უცბად სიმსუბუქე იგრძნო მხარზე, დაიხედა და მხოლოდ აბგის საკიდი შერჩენოდა. დაღონდა, მაგრამ რაღას იზამდა, ჩამოჯდა იქვე ქვაზე.

ჩამოღამდა.

ვიღაც კაცმა ჩამოუარა და თითქოს ძველი ნაცნობივით მიუგდო თავისი აბგა.

- ეს რა ქვებს დაათრევ, ძმობილო?

- შენ ვინ ხარ? - ჰკითხა ბიჭმა.

- მე ქურდი ვარ, ვინც ვერ ინახავს კარგად თავის საქონელს, ვიპარავ.

ბიჭმა არ იცოდა, რა იყო ქურდის მნიშვნელობა და უპასუხა, ეს უბრალო ქვები არ გეგონოს, დღისით ბრჭყვიალებსო. თუ არ გჯერა, დაველოდოთ გათენებას და დაგიმტკიცებო.

იქვე დუქანში შევიდნენ, დილამდე იქეიფეს, ბიჭმა დაწვრილებით მოუყვა თავისი ცხოვრება, ძმობაც შეჰფიცეს ერთმანეთს, ამასობაში მზეც ამოიწვერა, დახედა ქვებს ქურდმა და მიხვდა, რაც იყო.

- მოდი, ძმობილო, ძმობა ხომ შევფიცეთ და ახლა წამიყვანე, შენი საცხოვრებელი მანახეო.

ალალად გაზრდილი ბიჭი იყო, არც დაფიქრებულა ისე გაუდგნენ გზას.

სოფელს რომ მიაღწიეს უკვე ჩამოღამებულიც იყო.

შევიდნენ სახლში, ივახშმეს და დაწვნენ დასაძინებლად.

ბიჭი ფიქრობდა, რა კარგია ძმა შევიძინეო და მომავლის ფიქრებში ჩასძინებოდა კიდევაც.

ბებია ესიზმრა.

- ბები ხომ გაგაფრთხილე, რაც ბრჭყვინავს, სიკეთეს არ მოგ-იტანსო.

- ბებიიი...

დაიძახა და თან საწოლიდან წამოიწია, ეგონა, ცხადში ხედავდა ბებიას.

თავზე ქურდი დასდგომოდა ნაჯახით.

- ბებ...

05.05.2023 წ.

სარჩევი

რის თქმაც სწადია - ***მანანა გორგიშვილი*** 3
ავტორის წინასიტყვაობა - ***მიმინო*** 6
ლექსად ნათქვამი ამბების მოკლე ანალიზი -
ნინო როსტიაშვილი (ნერუ) 7
მე და ჩვენ 10
ნოსტალგია 11
ლექსით ნათქვამი 12
იყუჩე 13
ადამის მოდგმავ! 14
არ ვემონები დროს 15
ალალად 16
არ გვინდა აუგი 17
ოქროს წლები! 18
ნუ დაივიწყებ ადათსა! 19
ცხოვრების გაკვეთილი 20
ონავრები 21
არჩევანი 22
გაზაფხულის ამბები 23
გულო, შენ გაიხარე! 24
პოეტის დამღა 25
გამახსენა ის დრო... 26
ვწუხვარ! 27
სიკვდილს პოეტი ამარცხებს 28
ხან ისე და ხან ასე 29
დრონი 30
სოფლის ცხოვრება 31
ნაბახუსევი 32
ქობულეთს 33
„ბარიშნა“ 34

იუმორესკა 35
განა, ლოთი ვარ? 36
უმადური 37
რა შეგრჩება 38
ხალხის ფსიქოლოგია 39
„იმერელო ქალო, პრასი პარია, ... 40
არ ვარ პოეტი 41
დედის გული 42

პატრიოტული ლირიკა

ძმობის ხიდი 46
შინდისის გმირებს 48
ა რ ი ც ვ ლ ე ბ ა ! 49
ტკბილი კვერი 50
ვაი, თბილისელო! 51
მტკივა 52
რატომ? იმიტომ 53
პატარაა თუ დიდია! 54
რწმენა და იმედი 55
ვაი, სამშობლოვ! 56
მე საქართველო ვიწამე! 57
დედულეთს 58
თბილისს 60
პირველი ემიგრანტები 61
ქართველები 62
გაუმაძღარი 63
სკოლისაკენ, ჰერიო! 64
თელაველებს 65
უნდა ვასახელო! 66

გლოვის დღეები ულიმიტოა.....67
მტკივა შოვი.....68

სატრფიალო ლირიკა

თუ მეფობა გინდა, ადედოფლე ქალი! 70
ნერუს 71
როცა შენი სახე მომეგებება... 72
გამოვფხიზლდეთ 73
ტირიფი და.....74
ჩემს ნერუს 75
ნერუ 76
განა?! 77
არჩევანი შენზეა... 78
ბროლიასაც უყვარდა 79
ნერუს!.....80
შავი მარგალიტი 80

რწმენა

ქეთევან დედოფალი.....82
ვარდს ამშვენებს ეკალი.....83
მე ასე ვფიქრობ.....83
კურთხეული მიწა.....84
***პეტრე-პავლობას.....84
„შეუცნობელია გზანი უფლისანი“ 85
დედაო მარიამ!.....86
ყ ვ ე ლ ა ს !.....87

გზა საყდრისაკენ 88
არ დანებდე! 89
ბზობა 90
ფერიცვალება 91
დამილოცნიხართ 92
ჩამავალი მზე 93
აღდგომა 94
გილოცავთ ხარებას! 95
შეჩერდით! 96
იყოს ნება შენი! 98
შობის მადლი 99
ნათელმირონი 100

მინები

მ ი მ ი ნ ო 102
მონადირე 102
დედის დღე 102
მუზას 103
ხურდა, რომელიც არ ხურდავდება! 103
ქალი უნდა იყოს 103
არასოდეს თქვა არასოდეს 104
მე მესაჭე, შენ მგზავრი 104
ბარბარობას 104
იუმორესკა 105
კალენდარზე დაეწერა 2020 105
*** ჭური მოდიდან გავიდა 105
*** სანთელი იწვის, თან იღვენთება 106
*** მტრედი ღუღუნებს, არწივი წკავის 106

*** ხან ღვინოს ვსვამ, ხან არაყს 106
*** მე არ მინდა თქვენი ხოტბა 106

მიძღვნიერები

მჯობნის-მჯობნი 108
დედას 109
ბაბუას 110
ჩემს პარმენიჩს! 111
დარიგება 112
ს. ე. კ. ა 113
ენეას ბაბუსგან 114
ჩემს ედოს 114
ნამგალი 115
თემურ ჩალაბაშვილს 116
მომავალ მგოსნებს 117
ბაღათერ არაბულს 118
გაფრთხილება! 119
ჩემს გოჭს 120
მიშა ფოცხვერიას 120
სიზმარი 121
დაფიქრდი 122
ახალ წელს! 123
იყო დრო 124
„მომავალი თქვენია“ 125
„მომავალი თქვენია“ 126
ო, ღმერთო ჩემო! 127
„მომავალი თქვენია“ 128
თერგი 129
პატარა მეგობარს 130
მეგობრებს 130

გავა დრო... 131
ბოლო ზარი..... 132
გარინჩა 133
ანზორ ცერცვაძეს..... 134
ვახო ნოზაძეს 135
ფანქველაშვილ კობას 136
დავით დამბურაჯელს 137
ამირან ხახნელიძეს..... 138
ვაჟა ჭიჭივეიშვილის ხსოვნას 139
ხათუნა ცომაიას 140
ისმინეთ..... 140
შენ! 141
რეჟიმის ბიჭებს..... 142
რეჟიმის ბიჭებს..... 143
სამადლობელი..... 144
ჯომარდში..... 145
მეგობრების შაირები..... 146

ბანახი

თაობიდან თაობას 150
ზღაპარი..... 151



* * *

ეს ჩემი ვაჟების ნაფიქრი,
ფიქრებიც მაგათ მოგონებიანი,
ეთაყვა ან მიეტანებოდა,
მკითხველისგან ანდა მე ვინაგონი!!!

13.09.2023წ.
ფაფალა კაკაბაძის
მიმძღვანი

ISBN 978-9941-8-6066-9